ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

## ლევან ჯიბლაშვილი დააკავეს

მისი მანქანიდან ნარკოტიკები ამოიღეს


გვ.7

23 აპრილიდან

კარლო კოლოდი

პინოკიოს თავგადასავალი

„მე მიყვარს კითხვა“




ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

სამშაბათი, 23 აპრილი, 2019 №95 (8049) ფასი: 60 თეთრი

# „ივანიშვილი ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს დათანხმდა“


გვ.2

## ნიკოლოზ მჟავანაძე: „ოცნების“ დაჯგუფებებს შორის ღია დაპირისპირება დაიწყო“

„ოცნება“ 2020 წლამდე იმდენ სისულელეს ჩაიდენს, რომ ხალხი ჯოხებით გარეკავს“




## მთავრობა გადასადგომად ემზადება



## მამუკა გამყრელიძე: „პანკისში პოლიციის შეყვანა სრულიად უაზრო იყო“

„ეს კომპანია ეკუთვნის ბიძინა ივანიშვილს და სწორედ მისი ინტერესებია აქ ჩართული“

გვ.4


გვ.3

ვინ მოხვდება გახარიას სიაში

## ნინო ჩხობაძე: „პანკისში ჰესის აშენებამ ხეობა შეიძლება უწყლოდ დატოვოს“


გვ.5


გვ.5

## „გახარია ხალხს აჩვენებს, რომ რკინის ბიჭია, სინამდვილეში კი ხელის ბიჭია“

## ამირან სალუქვაძე: „ანტიტერორისტული მიმართულებით სუს-ის საქმიანობას დადებითად ვაფასებ“

გვ.3



**სამართალი** გვ.7

## ზვიად კუპრავას საქმეზე სასამართლო პროცესი გადაიდო



## მეგობარი ქალის თვითმკვლელობამდე მიყვანისთვის თ.ა.-ს 4 წელი მიესაჯა



## „ლიბერთი ბანკზე“ ყაჩაღური თავდასხმა ერთმა პირმა აღიარა




დანარჩენები დუმილის უფლებას იყენებენ

**ეკონომიკა** გვ.6



## ვინ აშენებს ჰესს პანკისის ხეობაში



## კოვზანაძე: შესაძლებლობა გვაქვს, დეველოპმენტის მიმართულებით საბანკო რეგულაციებს გადავხედოთ



## ონლაინ თაღლითები საბანკო ანგარიშებს ისევ უტევენ

ISSN 1987-9385

4 მამუკა ტუსკაძე: „პოლიციით რომ დაგჭირდება ხეობაში ჩასვლა, იქ არ უნდა ჩახვიდე“

2 გრიგოლ ლილუაშვილი: „აგენტურ საქმიანობაზე საქმის წარმოება 37 კრიტიკულად მნიშვნელოვან პირზე მიმდინარეობს“

5 რუსმა ოკუპანტებმა სამი დღის წინ დაკავებული გოჩა ფიღიური გაათავისუფლეს

6 რამდენი უნდა იყოს რეალური საარსებო მინიმუმი?

# „ივანიშვილი ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს დათანხმდა“

## ნიკოლოზ მჟავანაძე: „ოცნების“ დაჯგუფებებს შორის ღია დაპირისპირება დაიწყო“

შორენა მარსაგიშვილი

რა შემთხვევაში აქვს გადარჩენის შანსი „ქართულ ოცნებას“, ვის და რატომ აწყობს ძალოვნების დემორალიზება, რამდენ დაჯგუფებად დაიყო მმართველი პარტია? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრება.

**ნიკოლოზ მჟავანაძე:**

– „ქართულმა ოცნებამ“ ყველანაირი ლიმიტი ამოწურა, ძალიანაც რომ მოინდომონ, უკვე ვერაფერს შეცვლიან. გასულ კვირას განვითარებული მოვლენებიც ამაზე მეტყველებს. ის, რაც პანკისში მოხდა, ერთ ადგილზე მახათის გაყრას მაგონებს. როცა ხალხს რეზინის ტყვიებს ესვრი და ცრემლსადენ გაზს შეასხამ, მაშინ უკვე ხელისუფლება აღარ ხარ.

ისე არავინ გამიგოს, რომ პოლიციელებისთვის ქვების და ჯოხების სროლას ვამართლებდე, უბრალოდ იმის თქმა მინდა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ხალხის ნდობა სრულიად დაკარგა.



**„ოცნება“ 2020 წლამდე იმდენ სისულელეს ჩაიდენს, რომ ხალხი ჯოხებით გარეკავს“**

ხალხის ნდობის დაკარგვას ვინ ჩივის, ერთმანეთსაც აღარ ენდობიან და ერთმანეთს ჭამენ.

***– „ოცნებაში“ ჭამენ ერთმანეთს?***

– მმართველ პარტიაში არის რამდენიმე გამოკვეთილი დაჯგუფება. ერთმანეთს ისინი ჭამენ და ებრძვიან. ძალიან მძიმედ არის გუნდში საქმე. ერთადერთი გამოსავალი მათთვის ახლა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებია.

ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების შემთხვევაში ხელისუფლება შეძლებს მაჟორიტარული სისტემის შენარჩუნებას, რაც „ქართული ოცნებისთვის“ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამიტომაც უჭერს მმართველი პარტიის დიდი ნაწილი ვადამდელ არჩევნებს მხარს.

თუ არჩევნები 2020 წელს ჩატარდა, მაჟორიტარული სისტემა გაუქმდება.

***– მაჟორიტარების შესანარჩუნებლად ატარებენ ვადამდელ არჩევნებს?***

– არა მარტო მაჟორიტარული სისტემის შესანარჩუნებლად. საზოგადოებაში ძალიან დიდი უარყოფითი მუხტია და მისი განმუხტვა უნდათ. ახალ ხელისუფლებას მაინც ახალი იმედები უკავშირდება.

„ოცნების“ შიგნით სერიოზულად და აქტიურად განიხილება ვადამდელი არჩევნების თემა. როგორც უკვე გითხარით, ეს, პირველ რიგში, მათ ინტერესებშია.

***– შემოდგომისთვის დაინიშნება ვადამდელი არჩევნები? ან რა გახდება მისი დანიშვნის მიზეზი?***

– ასე გადაჭრით რამის თქმა ძნელია, მით უმეტეს, როცა საქმე „ქართულ ოცნებას“ ეხება. აქ მარჯვენამ არ იცის, მარცხენა რას აკეთებს და პირიქით. რამდენადაც ჩემთვის გახდა ცნობილი, უნდათ, რომ ვადამდელი არჩევნების დანიშვნა ახლო მომავალში მოხდეს.

***– ასეთი საჩქარო რა არის?***

– რაც დრო გადის, მათი რეიტინგი ეცემა. არ გამოვრიცხავ, რომ ხელოვნურად შექმნან კრიზისი, რათა საქმე ვადამდელ არჩევნებამდე მივიდეს. მმართველი პარტიიდან ხალხის გამოყოფა და დაძაბულობის კერების შექმნა, სავარაუდოდ, ვადამდელისკენ გადადგმული ნაბიჯებია.

ვადამდელ არჩევნებს არაერთი ხელისუფლება გადაურჩენია. თავის დროზე ზვიად გამსახურდია ვადამდელ არჩევნებს რომ დათანხმებოდა, ისიც გადარჩებოდა და საქართველოც.

„ქართულ ოცნებას“, ფორმალურ თუ არაფორმალურ მმართველს რაღაც გავლენების შენარჩუნება თუ უნდა, გამოსავალი ერთადერთია – ვადამდელი არჩევნები.

2020 წლამდე შეიძლება ვერც მიაღწიონ, სასწაული თუ მოხდა და მაინც მიაღწიეს იქამდე, არც ამ შემთხვევაში განვითარდება მათ სასარგებლოდ მოვლენები.

***– ამის თქმის საფუძველს რა გაძლევთ?***

– ის მაძლევს, რომ ყველა მიმართულებით ცუდად აქვთ საქმე. ამ ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენებით კი პოლიციის სრული გაფარჩაკება მოხდა.

პანკისში განვითარებულმა მოვლენებმა გასული საუკუნის 90-იანი წლები გამახსენა, მხედრიონელები სამართალდამცავებს პანღურებს რომ ურტყამდნენ და აბუჩად იგდებდნენ. იგივე დავინახე ახლაც.

ამ ყველაფრით პირადად მე დავრჩი შეურაცხყოფილი. პოლიციელებს და სპეცრაზმელებს რომ ვუყურებდი, გული მეწვებოდა.

„ქართულმა ოცნებამ“ თუნდაც იმიტომ უნდა ჩაატაროს ვადამდელი არჩევნები, რომ თავად სახელმწიფო უწყებებში არის უკვე ამათ მიმართ დიდი უნდობლობა.

***– დარწმუნებული ხართ, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში „ოცნების“ მიმართ უნდობლობაა?***

– 21 აპრილის შემდეგ ასე იქნება. პოლიცია მმართველი პარტიის დასაცავად უკვე არაფერს გააკეთებს. მათაც ხომ ნახეს, როგორ ურტყამდნენ მათ კოლეგებს. ამაზე მაღალჩინოსნების რეაქცია იყო ბოდიში და მერე ჟურნალისტებს სთხოვდნენ, გაიღიმეთო.

რა ბოდიში და რა გაიცინე? ბოდიში და ღიმილი რომ წამალი იყოს, ასე კი არ ეყრებოდა ქუჩაში, აფთიაქში გაიყიდებოდა.

ამ დღეებში ძალიან სერიოზულად დაიწყო სახელმწიფო ინსტიტუტების რღვევა. არც ერთი პოლიციელი და სპეცრაზმელი ამ ხელისუფლებას აღარ დაიცავს. არ შეიძლება, ადამიანები საზარბაზნე ხორცად გამოიყენო.

***– ისევ ვადამდელ არჩევნებს დავუბრუნდები. ამბობთ, რომ ეს არის ხელისუფლების შენარჩუნების ერთადერთი შანსი. რა გარანტია აქვთ, რომ არჩევნებს მოიგებენ? არ ურჩევნიათ, რომ კიდევ ერთი წელი დარჩნენ ხელისუფლებაში?***



– „ოცნება“ 2020 წლამდე იმდენ სისულელეს ჩაიდენს, რომ ხალხი ჯოხებით გარეკავს. ახლა ოპოზიციას უფრო არ აწყობს ვადამდელი, ვიდრე მმართველ პარტიას. ეს არის მისი გადარჩენის შანსი.

ვადამდელი არჩევნები მათთვის იმ შემთხვევაშიც არის შანსი თუ არჩევნებში სხვა ძალა გაიმარჯვებს. ვიმეორებ, 2020 წლამდე თუ დარჩნენ, იმდენ სისულელეს ჩაიდენენ, რომ ხალხი მათ ჯოხებით გაყრის.

„ოცნებას“ მხარდამჭერები აღარ ჰყავს. მათ ხმას ის ხალხიც კი აღარ მისცემს, ვინც სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობს.

ამათი ხელისუფლებაში დარჩენით და ამდენი სისულელეების კეთებით, ქართულ სახელმწიფოს ექმნება უკვე საფრთხე.

მმართველ პარტიას სახელმწიფო საერთოდ არ აინტერესებს, ისინი თავის გადარჩენაზე ფიქრობენ და ამიტომაც მიიყვანენ საქმეს ვადამდელამდე.

„ოცნებაში“ არსებული გახარიას, კალაძის და ღარიბაშვილის ჯგუფები ერთმანეთს უკვე სერიოზულად ებრძვიან. ამ ბრძოლაში კიდევ რამდენიმე ჯგუფია ჩართული.

***– მათ შორის თუ არის კობახიძის ჯგუფი?***

– რა კობახიძის ჯგუფი? სად ჰყავს ირაკლი კობახიძეს ჯგუფი. ასეთ რამეებს ნუ იძახით ჟურნალისტები.

***– გინდათ თქვათ, რომ კობახიძეს ჯგუფი არ ჰყავს?***

– არა. პარლამენტის თავმჯდომარე ახმოვანებს ბიძინა ივანიშვილის სურვილებს. ვიღაცეები ცდილობენ, რომ მისგან რაღაც ფიგურა გამოიყვანონ, მაგრამ მაგას არავინ არაფერს ეკითხება.

***– რანაირად არ ეკითხებიან, კაცი პარლამენტის სპიკერია.***

– მერე რა. ის, როგორც გითხარით, არის ივანიშვილის სურვილების გამხმოვანებელი. დამოუკიდებლად არაფერს გააკეთებს. სარკეში რომ იხედება, საკუთარი ლანდის ეშინია.

***– ლანდის როგორ ეშინია, ლამის ქვეყანა ააწიოკა.***

– რა ააწიოკა? რაც დაავალეს, იმას აკეთებს. ბოლოს ვინ დარჩება აწიოკებული, მაგასაც ვნახავთ.

პანკისში მომხდარმა ინციდენტმა საქართველოში, შესაძლოა, ხელისუფლების შეცვლა დააჩქაროს. არ გამოვრიცხავ, რომ ეს გადატრიალების წინ გენერალური რეპეტიცია იყოს.

როდესაც პოლიციას დეზორგანიზებას გაუკეთებ, ჩათვალე, რომ ის არის უმოქმედო. რუსთაველზე ზღვა ხალხი რომ გამოვა, როგორ გგონიათ, პოლიცია მათ წინააღმდეგ წავა? რა თქმა უნდა, არ წავა.

***– ალბათ არ წავა, ისევე, როგორც 2003 წლის ნოემბერში არ წავიდა ხალხის წინააღმდეგ. მაშინაც დეზორგანიზებული იყო პოლიცია.***

– მაგიტომაც მოხდა, რომ პოლიციამვე შეუწყო ხელი ნაციონალების პარლამენტში შევარდნას. ერთი შს მინისტრი დარჩა შევარდნაძის გვერდით, დანარჩენმა პოლიციამ ოპოზიცია დიდი ამბით მიაცილა პარლამენტის შენობამდე.

ახლაც ასე მოხდება. არც ერთი პოლიციელი და სპეცრაზმელი ამ ხელისუფლებისთვის თავს აღარ გაწირავს. იმ ხალხისაც მიკვირს, ვისაც პოლიციელებისთვის ქვების სროლა უხაროდა.

ხელისუფლება არ მომწონს, მაგრამ პოლიცია ჩვენ გვიცავს და რატომ უნდა გვიხაროდეს მასზე თავდასხმა.

პოლიციელების დიდი ნაწილი ვანო მერაბიშვილს მისტირის. და არა იმიტომ, რომ ის კაცი ორ გვამს ითხოვდა. მისი მინისტრობის დროს სამართალდამცავების დაჩმორებას ვერავინ გაბედავდა.

ნორმალური სახელმწიფო თუ ხარ, პოლიციელი და სამხედრო არ უნდა დააჩმორო. დაჩმორებული სამართალდამცავი და ჯარისკაცი ვერც სამშობლოს დაიცავს და ვერც მოსახლეობას.

***– ზემოთ აღნიშნეთ, რაც პანკისში მოხდა, გადატრიალების გენერალურ რეპეტიციას ჰგავდაო. ვინ დგას ამ რეპეტიციის უკან?***

– ვინ დგას და თავად ხელისუფლების წარმომადგენლები. ყველაფერს აკეთებენ, რომ ხალხი მათ წინააღმდეგ გამოვიდეს. აშკარად რაღაცისთვის მიდის მზადება, ან ხელისუფლების გადაბარებას აპირებენ, ანდა შარში უნდათ ჩვენი გახვევა, რასაც მათ ხალხი არ აპატიებს.

იმისთვის, რომ ცოცხლები და უვნებლები გადარჩნენ,. საუკეთესო გამოსავალი ვადამდელი არჩევნებია. ამაზე სერიოზულად მიდის საუბრები. უბრალოდ, ერთმანეთთან დატაკებული ჯგუფები უნდა შეთანხმდნენ.

***– ამ დაჯგუფებებიდან რომელი უფრო ძლიერია – გახარია, ღარიბაშვილი თუ კალაძე?***

– არ ვიცი. მთავარი აქ მაინც ივანიშვილია. ის თანახმაა ვადამდელ არჩევნებზე. ის ახლა ღარიბაშვილთან, კალაძესთან და გახარიასთან გადის კონსულტაციებს და საბოლოო პასუხიც არ დააყოვნებს.

2020 წლამდე არც ისე დიდი დროა დარჩენილი, მაგრამ ამათთვის აჯობებს, რომ 2020 წლამდე ჩაატარონ არჩევნები. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ხალხის რისხვას ვერ გადაურჩნენ.

# გრიგოლ ლილუაშვილი: „აგენტურ საქმიანობაზე საქმის წარმოება 37 კრიტიკულად მნიშვნელოვან პირზე მიმდინარეობს“



საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში დეპუტატები სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2018 წლის ანგარიშს რამდენიმე საათის განმავლობაში ისმენდნენ:

მოსმენის დასრულების შემდეგ, ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა სუს-ის უფროსის პირველმა მოადგილემ. გრიგოლ ლილუაშვილმა განაცხადა, რომ აგენტურ საქმიანობასთან დაკავშირებით, საქმის წარმოება 169 პირის მიმართ მიმდინარეობს, საიდანაც 37 კრიტიკულად მნიშვნელოვანი პირია.

– მთავარია იდენტიფიცირება მოვახდინოთ, მონიტორინგი ვაწარმოოთ, მათ შორის ისეთ პირებზეც, რომლებიც შემჩნეულები არიან არა მარტო რბილი ძალის ქვეშ ყოფნაში, არამედ პირდაპირ აგენტურ საქმიანობაში და შევთანხმდით იმაზე, რომ ეს არ უნდა იყოს რაღაც პოლიტიკური ქულებისა და ბენეფიტების დასაწერი საგანი. 169 პირზე მიმდინარეობს საქმის წარმოება, მათ შორის 37 არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი პირი. დაკავება არ არის მთავარი მომენტი, შეიძლება განეიტრალება. მთავარია ძირგამომთხრელი საქმიანობის საშუალება არ მისცე და ქვეყნის ინტერესების დაზიანების საშუალება. ხშირ შემთხვევაში, სპეც სამსახურები იყენებენ არა გაძევების, არამედ გადმობირების მექანიზმებსაც. უამრავი მექანიზმი არსებობს... – განაცხადა გრიგოლ ლილუაშვილმა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ამირან სალუქვაძე: „ანტიტერორისტული მიმართულებით სუს-ის საქმიანობას დადებითად ვაფასებ“

იაგო ნაცვლიშვილი

პარლამენტში, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) 2018 წლის ანგარიში განიხილეს. ანგარიშში საუბარია როგორც პოზიტივსა და მიღწეულ შედეგებზე, ასევე გამოწვევებზე. გამოწვევები უმთავრესად საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებას უკავშირდება.

ანალიტიკოსი **ამირან სალუქვაძე** „ახალ თაობასთან“ საუბარში მთლიანობაში დადებითად აფასებს სუს-ის საქმიანობას, თუმცა ამბობს, რომ საჭიროა მეტი აქტიურობა ანტიკორუფციული მიმართულებით, ხოლო ოკუპაციის მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე ამბობს, რომ საჭიროა სახელმწიფოს და საზოგადოების ძალისხმევა. საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ირაკლი ბერაია კი გვეუბნება, რომ უმრავლესობა სუს-ის საქმიანობას დადებითად აფასებს.

– გამოწვევებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი რაც რჩება, ეს არის რუსეთის მიერ ჩვენი ტერიტორიების ოკუპაციიდან გამოწვეული საფრთხეები, რომელიც მიმართულია სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ეს არ არის მხოლოდ უსაფრთხოების სამსახურის სფერო. ამის გამოწვევის განეიტრალება სახელმწიფოს სატკივარია, ყველა ძალოვანი სტრუქტურის და მთლიანად საზოგადოების.

აქ პოლიტიკის შეცვლაზე არ არის საუბარი. არამედ ზოგადად მთელი სახელმწიფოს და საზოგადოების ძალისხმევაზე. რა პოლიტიკას ავირჩევთ ჩვენ, ეს მხოლოდ უსაფრთხოების სამსახურის პრეროგატივა არ არის. პოლიტიკას იმუშავებს პარლამენტი. სუს-ი არის ამ პოლიტიკის განმახორციელებელი ერთ-ერთი მთავარი რგოლი. ის აღასრულებს ამ პოლიტიკას თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

ოკუპაციის გარდა, არის ამ ოკუპაციის შედეგად გამომდინარე სხვადასხვა საფრთხეები. უკანონო საზღვრების აღმართვით დაწყებული და ადამიანების გატაცებით დამთავრებული, ასევე მათი უფლებების შელახვა. აღარ ვსაუბრობ ჩვენი მოქალაქეების მოკვლის ფაქტებზე. ეს არის სახელმწიფოს მთავარი გამოწვევა. ოკუპაციის შედეგად ჩვენ გვაქვს მთელი ბუკეტი – საფრთხეებიც, რისკებიც, გამოწვევებიც. გამოწვევებია ის, რაც ხდება საოკუპაციო ზოლში. ჩვენი მოსახლეობა არის ამის წინაშე, – ამბობს სალუქვაძე.

ანალიტიკოსი იმაზეც საუბრობს, როგორ წარმოუდგენია მას ამ რეალობის შეცვლა და ამბობს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მოახერხოს ის, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა გააქტიუროს ამ მიმართულებით.

– რასაც ჩვენ ვუყურებთ მათ აქტიურობას 2008 წლიდან დღემდე, ეს არ არის საკმარისი. რუსეთის ქმედებები და საოკუპაციო ძალების ქმედებები ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

მე ისევ გავიმეორებდი, რომ საქართველომ უნდა გადახედოს თავის დოკუმენტებს ამ მიმართულებით და ახალი დოკუმენტია შესამუშავებელი დეოკუპაციის სტრატეგიის მიმართულებით. იმიტომ, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლება.

რაც შეეხება უშუალოდ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიმართულებას ამ მიმართულებით, მას უარყოფითად არ შევაფასებდი. მესმის პოლიტიკური განწყობები, მაგრამ სპეცსამსახურები ამ მიმართულებით საჭიროებენ საზოგადოების მხარდაჭერას. რაც ხდება საოკუპაციო ზოლთან, ეს პროცესი საკმაოდ რთულია. ვერც ერთი პოლიტიკური პარტიის მმართველობის პირობებში სხვადასხვა ძალოვანი უწყებები ვერ წყვეტენ ამ საკითხებს 100%-ით. გადავხედოთ სტატისტიკას 2008 წლიდან დღემდე. არ წყდება ეს ვითარება. დაიწყო 2008 წლის შემოდგომაზე. რამდენიმე დღის განმავლობაში 22 ადამიანი იყო გატაცებული. 2009 წლიდან მოყოლებული, ეს მუდმივად გრძელდება. ამიტომ საზოგადოების მეტი ძალისხმევა და ჩართულობაა საჭირო. რუსეთი ამას იყენებს ჩვენს პოლიტიკურ ინტერესებზე ზეგავლენისთვის და ეს აშკარაა, – ამბობს სალუქვაძე.

მისი თქმით, ეს არის საფრთხეების ერთი მიმართულება. რაც შეეხება იმას, მთლიანობაში როგორ აფასებს სუს-ის საქმიანობას, ამბობს, რომ დადებითად.

„ბევრი მიმართულებაა ანტიტერორისტული მიმართულება. ანტიკორუფციული მიმართულება და ა. შ. მე მეტ ძალისხმევას ვისურვებდი მათგან. რაც შეეხება სხვა მიმართულებებს, ეს ყველაფერი მოსახლეობის შესაფასებელია. მაგალითად, ანტიტერორისტული მიმართულებით, ჩემი აზრით, სუს-ის საქმიანობას დადებითად ვაფასებ.

მთლიანობაში პოზიტიურად ვაფასებ. ვისურვებდი მეტ ძალისხმევას ანტიკორუფციული მიმართულებით. რა ფაქტებიც ვლინდება ამ მიმართულებით, მოსახლეობა ამას საკმარისად ვერ აღიქვამს. კორუფცია მთელ მსოფლიოშია, 100 %-ით ვერ აღმოფხვრი, მაგრამ გარკვეული დონეები არსებობს. მისაღები ზღვარი. სხვა მხრივ მის საქმიანობას დადებითად ვაფასებ, – უთხრა ამირან სალუქვაძემ „ახალ თაობას“.

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ირაკლი ბერაია კი ამბობს, რომ უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობას დადებითად აფასებს და მის საქმიანობას საპარლამენტო უმრავლესობა უმაღლეს შეფასებას აძლევს.

– ანგარიში, რაც ჩვენ ვიხილეთ, მაღალი



სტანდარტით არის შეფასებული და ძალიან კარგად ასახავს ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებულ საფრთხეებსა და გამოწვევებს და მის წინაშე არსებულ გამოვლინებებს. მათ საპასუხოდ უსაფრთხოების სამსახურის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს. როდესაც არის საფრთხეები და გამოწვევები, უსაფრთხოების სამსახური შეიმუშავებს პრიორიტეტებს. ეს პრიორიტეტებია ოპერატიული პრიორიტეტები – მაგალითად, კონტრ-სადაზვერვო მოქმედებები, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, გაუვრცელებლობა. ასევე ოპერატიულ პრიორიტეტებთან ერთად ორგანიზებულ პრიორიტეტებსაც შეიმუშავებს. მაგალითად, შესაძლებლობების გაუმჯობესება როგორც ოპერატიული, ისე ანალიტიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება. ტექნიკური შესაძლებლობის გაუმჯობესება და ა. შ. ეს ყველაფერი ძალიან კარგად ასახავს ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს, – ამბობს დეპუტატი.

ბერაია გამოწვევებსა და საფრთხეებზეც საუბრობს და ამბობს, რომ ანგარიშშიც ასახულია, რომ ჩვენი ქვეყნის მთავარი საფრთხე ოკუპაციას უკავშირდება.

– კარგად არის ასახული, რა საფრთხეებიც მომდინარეობს ოკუპირებული ტერიტორიებიდან. ის პრობლემები, რაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებობს. ასევე ასახულია ტერორიზმით გამოწვეული საფრთხეები, კონტრსადაზვერვო კუთხით არსებული გამოწვევები, ჰიბრიდული საფრთხეები და დეტალურად არის საუბარი ამ პრიორიტეტებსა და ღონისძიებებზე, რაც ამ საფრთხეების გამოვლინებების მიმართ იქნა გატარებული.

იცით, რომ საკომიტეტო მოსმენა გვქონდა გაერთიანებული საკომიტეტო სხდომის ფარგლებში. დახურულ ფორმატში ჩვენ გვქონდა საგნობრივი კითხვები და ამ კითხვებზე მივიღეთ ამომწურავი პასუხები. ბევრად მეტი დეტალიზაცია გახდა შესაძლებელი დახურულ ფორმატში ჩვენს დასმულ კითხვებზე პასუხების გაცემის ფორმატში. სუს-ი ძალიან მაღალ დონეზე უმკლავდება ქვეყნის წინაშე არსებულ საფრთხეებსა და გამოწვევებს. ის ღონისძიებები, რასაც ის ახორციელებს, ძალიან წარმატებულია ამ კუთხით, – აღნიშნა ბერაიამ.

კითხვაზე, ოკუპაციის მიმართულებით არსებული გამოწვევების გამოსწორება როგორ წარმოუდგენია და ხომ არ თვლის, რომ საჭიროა მუშაობა საერთაშორისო თანამეგობრობის თვალსაზრისით, – პასუხობს, რომ ოკუპაციის მიმართულებით საპასუხოდ სახელმწიფო აკეთებს ყველაფერს.

– პირველი, ეს არის საერთაშორისო ძალისხმევის მობილიზება ჩვენი ქვეყნის დე-ოკუპაციის მიმართულებით. იცით, რომ ქართული დიპლომატია, ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში ვმუშაობთ და განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ამ მიმართულებებს. ის, რომ მოხდეს ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება. ამ მხრივ არის მნიშვნელოვანი არაღიარების პოლიტიკაც. საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ მიმართულებით ძალიან ეფექტიანია. უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობაც ხაზგასასმელია. უსაფრთხოების სამსახურია ის, რომელიც საოკუპაციო ხაზის გასწვრივ და მიმდებარედ ახორციელებს უსაფრთხოების ღონისძიებების კოორდინაციას. უსაფრთხოების სამსახურის კოორდინაცია რომ არა, ჩვენ ბევრად მეტ ინციდენტთან, ბორდერიზაციის ბევრად მეტ შემთხვევასთან და უკანონო დაკავებებთან გვექნებოდა საქმე.

რაც შეეხება მეორე საკითხს, უსაფრთხოების სამსახური ასევე მონაწილეობს ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების შეხვედრებში და საკმაოდ პრინციპულ პოზიციას ავლენს იქ დასმულ საკითხებთან მიმართებაში. უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი ასევე ქართული დიპლომატიის მხარდამხარ მონაწილეობს ჟენევის დისკუსიების ფორმატში. იქ ვიცავთ ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს.

რაც შეეხება სხვა მიმართულებებს, უსაფრთხოების სამსახურს უდიდესი როლი აქვს ოკუპაციის მიმართულებით საერთაშორისო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაში. სწორედ ის უწევს ორგანიზებას საერთაშორისო მედიაორგანიზაციებისა და მაღალი დონის დელეგაციების ვიზიტებს საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ. ანუ ამ მიმართულებით ღონისძიებები ხორციელდება კომპლექსურად და ყველა მიმართულებით. უსაფრთხოების სამსახურიც ძალიან აქტიურია ამ მიმართულებით, – აცხადებს ირაკლი ბერაია.

# მთავრობა გადასადგომად ემზადება

## ვინ მოხვდება გახარიას სიაში

შორენა მარსაგიშვილი

მმართველ პარტიაში დიდი ცვლილებებისთვის ემზადებიან – „ქართული ოცნების“ კულუარებში აცხადებენ, რომ უახლოეს მომავალში მამუკა ბახტაძე და, შესაბამისად, მთავრობაც გადადგება.

სამთავრობო ცვლილებები ამათ ისედაც დაგეგმილი ჰქონდათ, მაგრამ პანკისურმა გაუგებრობამ კიდევ უფრო დააჩქარა ეს პროცესი. ახლა ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რა გაგრძელება მოჰყვება პანკისობა 2019-ს, რომელიც „ქართულ ოცნებას“ და საქართველოსაც შეიძლება ძალიან ცუდად შემოუბრუნდეს.



ხმები მამუკა ბახტაძის გადადგომის შესახებ კარგა ხანია, რაც ვრცელდება. ამ დღეებში ისინი კიდევ უფრო გამძაფრდა. ის, რომ მთავრობიდან ფაქტიურად წასულია, ამაზე მისი გაუჩინარებაც მეტყველებს. 21 აპრილს ლამის ქვეყანა დაგვემხო თავზე, პრემიერი კი არსად გამოჩენილა, ერთი პატარა კომენტარიც არ გაუკეთებია.

**„მომავალში გახარია სხვა ინტრიგებს და მამაძაღლობასაც უნდა ელოდოს“**

„ოცნებასთან“ დაახლოებული წყარო „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, რომ მმართველმა გუნდმა პრემიერის პოსტის დაკავება თავად ივანიშვილს სთხოვა, მაგრამ ის ცოცხალი თავით არ თანხმდება ამაზე. თუ სიტუაცია უკიდურესად გამწვავდა, შეიძლება ამ შემთხვევაში მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება.

ამ ეტაპისთვის მას მთავრობის მეთაურად გიორგი გახარია ჰყავს შერჩეული. „ოცნების“ კულუარებში არ გამორიცხავენ, რომ მის ჩასაძირად იყო მოწყობილი პანკისში ის პროვოკაცია, რაც ყველამ ვიხილეთ.

პანკისამდე მას ზუგდიდში მოუწყვეს პროვოკაცია. იმ დროს გახარია ამერიკაში იყო მნიშვნელოვანი ვიზიტით. ამ დროს დააკავა პოლიციამ ნაციონალური მოძრაობის სამი აქტივისტი, რასაც დიდი ხმაური მოჰყვა.

აშკარაა, რომ ვიღაცას ძალიან არ უნდა, რომ მთავრობის მეთაურის პოსტი გახარიამ ჩაიბაროს. როგორც ამბობენ, ამ უკანასკნელთან ურთიერთობა და რაღაცების დალაგება ძალიან რთულია.

„ქრონიკა +“-ის რედაქტორი ელისო კილაძე არ გამორიცხავს, რომ პანკისში გახარიას პროვოკაცია ღარიბაშვილის კლანმა მოუწყო.

ექსპერტი გია ხუხაშვილი გვარებს არ ასახელებს, მაგრამ არ გამორიცხავს, რომ შს მინისტრის წინააღმდეგ პროვოკაციას ჰქონდა ადგილი.

ხუხაშვილს შეთქმულების თეორიები დიდად არ უყვარს და რაკი ასეთ რამეს ამბობს, გამოდის, რომ საქმე ძალიან სერიოზულად არის.

ექსპერტი ვარაუდობს, რომ შს მინისტრი და, როგორც ამბობენ, მომავალი პრემიერი, პროვოკაციებს მომავალშიც უნდა ელოდოს.

– ამის უკან შეიძლება დავინახოთ შეთქმულების რაიმე თეორია? მე ვფიქრობ შეიძლება, იმიტომ, რომ ჩვენ ვხედავთ, რომ „ქართულ ოცნებაში“ შიდა გადანაწილებაში რაღაც ცვლილებები დაიწყო. ბუნებრივია, გახარია სხვადასხვა ინტერესჯგუფებისთვის, რომლებიც მომრავლდნენ ხელისუფლებაში, გარკვეული დისკომფორტის მატარებელია, როგორც დამოუკიდებელი ფიგურა.

ის არც ერთ დაჯგუფებაში არ მონაწილეობს და, ბუნებრივია, სამიზნე ამ შემთხვევაში შეიძლება ისიც ყოფილიყო. თუმცა, ეს მხოლოდ თეორიაა. ასეთი ტიპის გეგმა რომ მიმართული ყოფილიყო გახარიას წინააღმდეგ და შეიძლება პროცესები ნამდვილად ისე განვითარებულიყო, რომ გახარიას გადადგომა გარდაუვალი ყოფილიყო, თვითონ რომ სწრაფი ზომები არ მიეღო, ეს გამოსარიცხი არ არის.

ეს არის ნამდვილად მრავალსაკითხიანი პრობლემა, სამიზნე შეიძლება ყოფილიყო გახარია, მე საერთოდ ვფიქრობ, რომ უახლოეს მომავალში გახარია სხვა ინტრიგებს და მამაძაღლობასაც უნდა ელოდოს, იმიტომ, რომ იმდენად შეიცვალა ხელისუფლებაში ძალის ცენტრების გადანაწილება, რომ ის უახლოეს პერიოდში იქნება მთავარი სამიზნე.

ასეთია ხელისუფლების ბუნება, რომ ძალაუფლებისთვის ბრძოლა კულისებში ყოველთვის მიმდინარეობს. მე ვფიქრობ, რომ გახარიაზე შეტევები კიდევ განხორციელდება, – აღნიშნავს ექსპერტი.

გახარიაზე შეტევებს „ოცნებაშიც“ ელოდებიან. ჩვენი წყარო ამბობს. რომ განსაკუთრებულ ინტერესს ის სია იწვევს, რომელიც შს მინისტრმა ამერიკიდან ჩამოიტანა.

მმართველი გუნდის კულუარებში საუბრობენ, რომ გახარიამ ამერიკაში გამართულ შეხვედრებზე ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებთან იმ პირებზე ისაუბრა, ვინც საქართველოს მომავალ მთავრობაში მოხვდება.

ერთი შეხედვით ცოტა დაუჯერებელია, რომ დამოუკიდებელი ქვეყანა სხვა სახელმწიფოს უთანხმებდეს მინისტრების დანიშვნას, მაგრამ საქართველოში ეს მოსულა. თან წლებია, ასეა. ხშირად თავად დეპუტატებს განუცხადებიათ, რომ ამა თუ იმ კანდიდატს ამერიკელები უჭერენ მხარს.

ახლაც ასე ამბობენ. ოღონდ არ იციან, ვინ მოხვდა გახარიას სიაში. სამაგიეროდ იციან, სად წავა ბახტაძე. გავრცელებული ინფორმაციით, ის საზღვარგარეთ გააგრძელებს სწავლას.

ჩვენი წყაროს ინფორმაციით, განიხილება ახლად გამინისტრებული ნათია თურნავას მოხსნის საკითხიც. თუმცა, ეს ალბათ რთული იქნება – ქალს, რომლის სახელსაც პანკისის არეულობა უკავშირდება, ივანიშვილის უახლოესი გარემოცვა – უჩა მამაცაშვილი და ვანო ჩხარტიშვილი – ლობირებენ.

შინაგან საქმეთა მომავალ მინისტრად ალექსანდრე ხოჯევანიშვილის კანდიდატურა განიხილება. თავიდან ის სუსის უფროსად მოიაზრებოდა, მაგრამ, როგორც ამბობენ, ვახტანგ გომელაურმა ივანიშვილთან ურთიერთობა მოაგვარა და პოსტს აღარ დატოვებს.

შს მინისტრის პოსტზე კიდევ ერთი კანდიდატურა განიხილებოდა კახა საბანაძის სახით, თუმცა პანკისის ამბებმა მასაც გაუფუჭა საქმე.

# მამუკა გამყრელიძე: „პანკისში პოლიციის შეყვანა სრულიად უაზრო იყო“

## „ეს კომპანია ეკუთვნის ბიძინა ივანიშვილს და სწორედ მისი ინტერესებია აქ ჩართული“

ნონა ცაბაძე



პანკისის ხეობაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით „ახალი თაობის“ კითხვებს გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი **მამუკა გამყრელიძე** პასუხობს.

***– ბატონო მამუკა, პანკისში განვითარებულ მოვლენებს საზოგადოება შეშფოთებული ადევნებდა თვალს. სიტუაციის დაძაბვა ჰესის საკითხს მოჰყვა. არ სჭირდება ჩვენს ქვეყანას ჰესები?***

– ჰესები ქვეყანას სჭირდება და ჰესები უნდა აშენდეს. მეორე საკითხია, ის კერძო კომპანიები, რომლებიც ამ ჰესებს აშენებენ, როგორ ითვალისწინებენ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს.

ადგილობრივი მოსახლეობა არის ის ხალხი, რომელიც უნდა დაიჩაგროს. ნებისმიერ რეგიონს ეხება ეს, განსაკუთრებით მთიან რეგიონებს. სვანეთი იქნება ეს, ხევი თუ პანკისი. უნდა მოხდეს ხანგრძლივი მოლაპარაკებები და მიღწევა რაღაცა კონსენსუსამდე. ერთი წელი მიდიოდა მოლაპარაკება და ვერაფერს ვერ მიაღწიესო. ვერ მიაღწიეს ალბათ იმიტომ, რომ არ მოხდა შესაბამი, ადეკვატური წინადადების შეთავაზება, თორემ ეს ხალხი სულელი ხომ არ არის?! იჩეხება ბუნება, ეკოლოგიას საფრთხე ექმნება. ამ ყველაფერს ანაზღაურება სჭირდება რაღაცა სხვა სახით.

***– კომპენსაცია არ იყო სათანადო?***

– რა თქმა უნდა. რაღაცნაირად უნდა განავითარო ეს რეგიონი, დასაქმება უნდა შეეძლოთ ამ ადამიანებს, რომ უფრო მისაღები იყოს მათთვის ეს ყველაფერი. აქედან გამომდინარე დაშვებული იყო შეცდომა იმ თვალსაზრისით, რომ არ მოხდა შესაბამისად მისაღები წინადადების შეთავაზება.

***– არ უნდა შეეყვანათ პოლიცია?***

– მე საერთოდ არ მესმის შინაარსი პოლიციური სტრუქტურების ჩართვის, როდესაც დავა არსებობს კერძო სტრუქტურასა და მოსახლეობას შორის. მათ შორის უნდა მოხდეს ამ პრობლემის გადაწყვეტა. იქ არანაირი წინააღმდეგობა არ ყოფილა მოსახლეობის მხრიდან სახელმწიფოს მიმართ, რომ გამოეყენებინათ პოლიცია. იქ პრობლემა ჰქონდა მოსახლეობას კერძო სტრუქტურასთან. თუ არ დააკმაყოფილებ იმ ხალხის მოთხოვნებს, მაშინ შეგეწინააღმდეგებიან. ამიტომ პოლიციის შეყვანა იყო უაზრობა და თავიდანვე არასწორი ნაბიჯი.

***– ბევრმა პროვოკაციულ ნაბიჯად შეაფასა და პოლიციამ თავის თავს მოუწყო პროვოკაცია?***

– მე ვერ დავიწყებ იმაზე საუბარს, რომ ეს სპეციალურად გაკეთდა, რომ იქიდან რუსეთი შემოსულიყო. ეს ძალიან მძაფრი განცხადებაა და არ მინდა ამაზე საუბარი. არც იმ საკითხს შევეხები, რომ იქ ქისტი მოსახლეობა ცხოვრობს და ასე შემდეგ. ამას რა მნიშვნელობა აქვს? რა, სვანეთში არ იყო იგივე შემთხვევები?

ლაპარაკი იმაზე არ არის, ვინ ცხოვრობს, ლაპარაკია იმაზე, როგორ აკმაყოფილებ შენ ადგილობრივების მოთხოვნებს, რომლებსაც სერიოზული პრობლემები ექმნებათ ამ მშენებლობით. ამიტომ პოლიციის შეყვანა იყო სრულიად გადამეტებული, სრულიად უაზრო.

რაღაცა საფრთხე რომ შექმნოდა სახელმწიფოს, ამას გავამართლებდი და მივიღებდი, მაგრამ პირიქით, საქართველოს სახელმწიფოებრიობას საფრთხე შეუქმნა შინაგან საქმეთა სამინისტრომ თავისი სპეცრაზმით.

***– ძალას გადაამეტეს? არ იყო საჭირო რეზინის ტყვიები და ცრემლსადენი გაზი?***

– საერთოდ არ იყო ამ ძალის გამოყენება საჭირო საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ. ვიმეორებ, იქ არ ყოფილა საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ რაიმე საფრთხის შემცველი ქმედება. ხოლო თუ კერძო სტრუქტურას უკეტავენ გზას, არ უშვებენ, არ აძლევენ საქმიანობის საშუალებას, ეს თავად უნდა გაარკვიოს კერძო სტრუქტურამ. დავა დაიწყოს სასამართლოში და მილიონი სხვადასხვა ხერხი არსებობს იმისთვის, რომ მოხდეს სიტუაციის დალაგება.

***– მაშინ რატომ ჩაერია სახელმწიფო კერძო კომპანიის ინტერესების დასაცავად და რატომ წავიდა ამხელა რისკზე?***

– არ ვიცი, რამდენად მართალი ვარ, მაგრამ ვიცი, რომ ეს კომპანია ეკუთვნის ბიძინა ივანიშვილს და სწორედ მისი ინტერესებია აქ ჩართული. აი, სწორედ ამიტომ მოხდა პოლიციის ძალების გამოყენება, რაც სრულიად გაუმართლებელია.

***– თქვენ მწვავედ გააკრიტიკეთ გახარია, როდესაც ის პანკისელებს ძმობასა და მეგობრობაზე ესაუბრებოდა.***

– დიახ, ეს არის უზარმაზარი შეცდომა, როცა შს მინისტრი განსაკუთრებით უსვამს ხაზს საკუთარი ქვეყნის მოსახლეობის ეთნიკურ წარმომავლობას. რა ძმობა? ვისსა და ვის შორის?! ეს ადამიანები საქართველოს მოქალაქეები არიან. ისეთივე ქართველები, როგორიც თავად გახარია. ეს ხალხი ბევრად უკეთესად საუბრობს ქართულად, ვიდრე გახარია. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ სად დაიბადა და ვინ ვისი შვილია? ეს ხალხი ქართულ სახელმწიფოში ცხოვრობს სხვებთან ერთად და არანაკლებად პატრიოტულად არის განწყობილნი საქართველოს მიმართ.

აი ასე, ნელ-ნელა, თითო აგურის გამოცლით ანგრევენ ქართულ სახელმწიფოს! გახარიას გამოსვლა იყო უაზრო, მას ბრიყვული შეცდომა მოუვიდა.

***– რამდენად ხედავთ კვლავაც სიტუაციის გამწვავების საფრთხეს?***

– მე ვერ ვხედავ ვერანაირ საფრთხეს, თუ შედგება ნორმალური მოლაპარაკებები მოსახლეობასა და კერძო კომპანიას შორის. კომპანიამ ვალდებულებები უნდა აიღოს საკუთარ თავზე და უნდა მოხდეს ყველა ინტერესის გათვალისწინება.

კი ბატონო, ჰესების მშენებლობა მნიშვნელოვანია, მაგრამ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, რომ ამით ეკოლოგიას ისეთი ზიანი არ მიადგეს, რომლის გამოსწორება შეუძლებელი იქნება.

როგორც მე გავიგე და ამაზე სპეციალისტები საუბრობენ, იქ არ არის ყველა გათვლა გაკეთებული გეოლოგიურ და ეკოლოგიურ საფრთხეებზე და სწორედ ამიტომ შეშფოთდა მოსახლეობა. თუ ეს ასეა, მე მესმის პანკისელი მოსახლეობის აღშფოთების მიზეზი.

***– თქვენ ამბობთ, რომ ივანიშვილის ინტერესია, მისი კომპანიააო და ასე მარტივად დათმობს ივანიშვილი? სწორედ ამიტომ კიდევ ხომ არ უნდა ველოდოთ სიტუაციის დაძაბვას?***

– ჩვენ ვიცით, რომ ივანიშვილს არ უყვარს დათმობა, მაგრამ რაღაც მომენტში უწევს ხოლმე. ამ შემთხვევაშიც ვფიქრობ, რომ მოუწევს. ან მოუწევს სწორი წინადადების მიცემა და ყველაფრის გათვალისწინება.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არ არის ეს სახელმწიფოს ჩარევის ობიექტი, არანაირად! არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაერიოს ამაში პოლიცია და სპეციალური დანიშნულების რაზმები. სწორედ იმიტომ გაჩნდა ეჭვი, რომ ეს ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნის, რომ კერძო სტრუქტურისა და მოსახლეობის დავაში ჩაერივნენ სახელმწიფო სტრუქტურები. ეს კატეგორიულად მიუღებელია. ეკონომიკის სამინისტროს ჩარევა და სპეციალისტების მიყვანა სრულიად საკმარისი იქნებოდა.

***– უკონტროლო გახდა სიტუაცია და პოლიციური ძალები ამიტომ ჩაერიაო.***

– რას ჰქვია გამწვავდა? გამწვავებამდე არ უნდა მიიყვანო საქმე. იქ შევარდნა და ზარბაზნების სროლა არის დიდი სისულელე! თუ შედიხარ, შე დალოცვილო, იმის შესაძლებლობაც უნდა გქონდეს, რომ გაამყარო სიტუაცია. თუ შედიხარ და მერე გამორბიხარ უკან, ე.ი. არც სპეციალური რაზმი გივარგა. ვერც ვერაფერს მიაღწიეს, ამხელა აღშფოთება გამოიწვიეს მოსახლეობაში, ქვეყანაში და ტყუილად შეარცხვინეს თავისი სტრუქტურები.

ამ საკითხს ძალიან დიდი სიფრთხილით სჭირდებოდა მიდგომა, არ არის მარტივი საქმე. ხომ ნახეთ, ყველა პოლიტიკური პარტია შორიდან შემოიფარგლა განცხადებებით და არანაირი იქ ჩავარდნები არ ყოფილა. ყველას ეყო ჭკუა საიმისოდ, რომ იქ არ ჩასულიყო.

***– რამდენად გონივრული იქნება შემდგომი ნაბიჯები ხელისუფლების მხრიდან?***

– მე რასაც ვუყურებ უკანასკნელ ხანებში, ხელისუფლება მუდმივად დგამს ისეთ ნაბიჯებს, რომლებიც ყოველთვის მის საწინააღმდეგოდ ტრიალდება. ამ გახარიაზე იძახიან, ჭკვიანი კაცია, ჭკვიანიო და იმდენი შეცდომა დაუშვა ამ ადამიანმა, რომ უფრო გაზვიადებული მგონია მისი ჭკუის შესაძლებლობები.

# მამუკა ტუსკაძე: „პოლიციით რომ დაგჭირდება ხეობაში ჩასვლა, იქ არ უნდა ჩახვიდე“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობა“ პანკისის ხეობაში მომხდართან დაკავშირებით უფლებადამცველსა და პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“ დამფუძნებელ **მამუკა ტუსკაძეს** ესაუბრა.

***– ბატონო მამუკა, დღეს მთელ საქართველოში არის დაპირისპირება ჰესების მშენებლობის გამო. ახლა პანკისში მოხდა დაპირისპირება პოლიციასა და მოსახლეობას შორის. თქვენ მუშაობთ სოციალური სამართლიანობის საკითხებზე. რას იტყვით მომხდართან დაკავშირებით?***

– ამ პროცესში ძალიან ბევრი უსამართლობა ხდება როგორც ხელისუფლების, ისე მოსახლეობის მხრიდან, კონკრეტულად, პანკისის ხეობაში, კონკრეტულად სვანეთში, სადაც პროცესი არ დამთავრებულა.

ხადორი-3 (მესამე ჰესი უნდა აშენდეს) ძალიან ახლოს არის მოსახლეობასთან და არის ეკოლოგიური კატასტროფის საშიშროება. როგორც უფლებადამცველი და „სოციალური სამართლიანობისთვის“ დამფუძნებელი, ეკოლოგიური საკითხებზეც ვმუშაობ. ვფიქრობ, საკითხი მოსახლეობის ნებისა და ეკოლოგიური საკითხების გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს. უნდა გაირკვეს, ვიღაცის ბიზნესინტერესს ეწირება გარემოს უსაფრთხოება თუ არა. ეს ეხება როგორც პანკისს, ისე სვანეთს.

***– იგეგმება 5 მეგავატიანი ჰესის აშენება, რომელიც არ არის ისეთი საფრთხის შემცველი, როგორც თქვენ ამბობთ.***

– მესმის. 5 მეგავატიანი ჰესი ძალიან პატარა ჰესია, მაგრამ მასაც სჭირდება გარკვეული სამუშაოების ჩატარება. გარემოს ის 5 მეგავატიანი ჰესიც კი აზიანებს. იქ მცხოვრები მოსახლეობის უფლებები არ უნდა დაზიანდეს.

***– ფიქრობთ, რომ მათი უფლებები ზიანდება?***

– მთიან რეგიონებში მოსახლეობის დამაგრებასა და ნორმალურ ყოფა-ცხოვრებას სახელმწიფო ხელს უნდა უწყობდეს. ამ დროს ხელისუფლება ვერ ხსნის, რატომ მიიღება მსგავსი გადაწყვეტილებები, რაც იწვევს მწვავე დაპირისპირებას. ბევრი არ აკლია, შეიძლება მსგავსი დაპირისპირება სვანეთშიც განმეორდეს. უბრალოდ, სვანეთში სპეცრაზმი არ შეიყვანეს, განსხვავება ის იყო. იქ მოლაპარაკებები გრძელდება. იმედია, მოლაპარაკების გზით მივლენ შეთანხმებამდე.

***– პანკისის ხეობა რთული რეგიონია.***

– დიახ, პანკისის ხეობა ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და სენსიტიური ტერიტორიული ერთეულია. მით უმეტეს, რამდენიმე უბანი. იქ არიან რელიგიური და ეთნიკური უმცირესობები, მთიელი ხალხი. მათ აქვთ განსაკუთრებული მენტალობა. მთელ მსოფლიოში ასეთია მთიელების მენტალობა და ასეა პანკისის ხეობაშიც. ყველა ის ქმედება, რასაც გადადგამს ხელისუფლება და რა გადაწყვეტილებებსაც მიიღებს, მთიელების მენტალობასთან უნდა იყოს შეჯერებული, ბიზნესის მიმართულებით იქნება თუ სხვა კუთხით.

ხელისუფლებამ უფრო მეტი უნდა იმუშაოს სოციალური პროექტების განხორციელებაზე. მთის კანონში ბევრი რამ უნდა დაემატოს, რომ ადამიანები დაინტერესდნენ, მთებში დარჩნენ, დამაგრდნენ და აითვისონ ადგილობრივი ტერიტორიები. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რაც მთაში მოსახლეობას ცხოვრებას შეუმსუბუქებს.

***– სესიაშვილმა განაცხადა, რომ ეს მართული პროცესი იყო, ანუ შეგნებულად გაალიზიანეს ეს ხალხი და გამოიყვანეს დასაპირისპირებლად. ვის ინტერესში შეიძლება შედიოდეს ასეთი დაპირისპირება და პანკისის ხეობაში პრობლემების შექმნა?***

– პანკისის ხეობაში დაპირისპირების გამოწვევა, იმ ხალხის გამოყვანა და მოლაპარაკების მაგიდასთან არდაჯდომა საქართველოს მტრების ინტერესში შეიძლება შედიოდეს. იმ ხალხში, ალბათ, არიან გავლენის აგენტებიც, რომლებსაც ჰგონიათ, რომ კარგს აკეთებენ. მათ შორის, იქნებიან საქართველოს მტრებიც.

***– პანკისელები ამბობდნენ, რომ პოლიციისა და სპეცრაზმის გამოჩენის გამო გაღიზიანდნენ.***

– პოლიციით რომ დაგჭირდება ხეობაში ჩასვლა, იქ არ უნდა ჩახვიდე. 1 პოლიციელიც რომ დაგჭირდება ობიექტზე მისასვლელად, არ უნდა მიხვიდე. შპს-ს წარმომადგენლებს არ უნდა ჰქონოდათ სამუშაოების დაწყების მცდელობა, ვიდრე მოლაპარაკების მაგიდასთან არ მიიღებოდა გადაწყვეტილება.



გადაწყვიტეს პოლიციის თანხლებით შეეყვანათ ტრაქტორები სამუშაოდ. რაც პანკისის ხეობაში მოხდა, იმ ადამიანების ბრალეულობაა, ვისაც პოლიციელების თანხლებით უნდოდა სამუშაოების დაწყება. ხელისუფლების გადაწყვეტილებაა თუ ვისი, ამას გამოძიება დაადგენს, ვინც გადაწყვიტა, პოლიცია შეეყვანა და იქ პროვოკაციული სიტუაცია შეექმნა, ის არის საქართველოსა და პანკისის ხეობის მტერი.

***– გასაგებია, მაგრამ პოლიციასთან ასეთი დაპირისპირება სახელმწიფოსთან დაპირისპირებას არ ნიშნავს? ასეთი დაპირისპირება არ უნდა მომხდარიყო.***

– რა თქმა უნდა, პროვოკაცია მაგან გამოიწვია. პოლიციელების გარეშე რომ მისულიყო ტრაქტორისტი და დაეწყო მუშაობა, რა მოხდებოდა? ხომ არაფერი მოხდებოდა.

***– მათაც ქვებს არ ესროდნენ?***

– რას ჰქვია ქვებს ესროდნენ. ყველაფერი უნდა მომხდარიყო პოლიციელების გარეშე. პოლიციამ ვერ გამოიჩინა სიფრთხილე, ან ვერ განსაზღვრა, ან კიდევ სპეციალურად გააკეთა – ხელოვნურად შექმნან პრობლემა და მერე აღმოფხვრან.

***– ერთ-ერთმა სამინისტრომ მიმართა შს სამინისტროს და იმანაც 35 პოლიციელი გაატანა.***

– ვინც მიმართა, ის დამნაშავეა, მაგრამ გახარიას პასუხისმგებლობა ისაა, პრობლემა მოუგვარებელი რომ იყო, პოლიცია არ უნდა გაეტანებინა. შესაბამისად, არც არაფერი მოხდებოდა. ეს არის არასწორი მართვა. მოლაპარაკება არ იყო დასრულებული, საკითხი არ იყო გადაწყვეტილი და რა სამუშაოებს იწყებდნენ.

***– ისე, 5 მეგავატიანი ჰესი იმდენად მცირეა, რომ ამდენი პრობლემის შექმნის ფასად არ ღირს.***

– რა მნიშვნელობა აქვს, იმ ხალხს არ უნდა. მე ჰესის აშენების მომხრე ვარ, მაგრამ მოლაპარაკებაა საჭირო, რომელსაც დრო უნდა. მოლაპარაკების გზით მოსახლეობასთან შეთანხმება აუცილებლად მოხდებოდა, რატომ იჩქარეს, რატომ გააკეთეს ასეთი რამ.

***– ცხადია, რაღაც შეცდომა დაუშვეს. ჰესი ხალხს არ უნდა, სახელმწიფოს უნდაო.***

– სახელმწიფო წარმოადგენს ხალხს, თუ ხალხს ჰესი არ უნდა, არც სახელმწიფოს უნდა უნდოდეს. ან ხალხი უნდა დაარწმუნოს სახელმწიფომ, რომ ეს ჰესი არის კარგი.

სახელმწიფომ ხალხთან არ იმუშავა, არ დაარწმუნა ის ხალხი, რომ 5 მეგავატიანი ჰესი იქ განსაკუთრებულს არაფერს გააფუჭებს. იქნებოდა მცირე ეკოლოგიური პრობლემები, მაგრამ ამას აანაზღაურებდნენ.

# „გახარია ხალხს აჩვენებს, რომ რკინის ბიჭია, სინამდვილეში კი ხელის ბიჭია“

## ლევან ჩაჩუა: „ქართული ოცნება“ ეკონომიკურ პროექტებს ძალადობით ვერ გაიტანს“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში შექმნილ ქაოსურ ვითარებაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერ ლევან ჩაჩუას.

**ლევან ჩაჩუა:**

– ხელისუფლება ძალიან დაბნეული ჩანს. პანკისის აქციაზე ცდილობდნენ, დამაჯერებლები ყოფილიყვნენ, ეფექტურად ემოქმედათ, მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენლების გაფითრებული სახეები ადასტურებდა, რომ ეს ხელისუფლება სრულად გაკოტრდა.

სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეკონომიკურ საკითხებს პოლიციის ჩარევით წყვეტენ. არც ერთ სახელმწიფოში ეკონომიკურ პროექტებს პოლიციისა და სპეცრაზმების თანხლებით არ წყვეტენ. გიგანტური ჰესების მიუღებლობა კიდევ ცალკე საუბრის თემაა. ჩვენი მოძრაობა ყოველთვის დიდი ჰესების აშენების წინააღმდეგი იყო. „ქართული ოცნება“ უცხოელების დავალებით უარს არ ამბობს ამ ჰესებზე, ძალადობს ხალხზე. რაც უნდა ქნას, ეკონომიკურ პროექტებს ძალადობით ვერ გაიტანს. პანკისში, სვანეთში, გურიაში იყო დიდი პროტესტი ჰესებისა და ბუნების დამაზიანებელი სხვა მშენებლობების თუ წარმოების წინააღმდეგ.

***– პროტესტი შედეგს მოიტანს?***

– რასაკვირველია. ქვეყანაში აღარაა ის სიტუაცია, როგორიც 2013 ან 2014 წლებში იყო. მას შემდეგ „ქართულმა ოცნებამ“ ბევრჯერ გამოავლო პირში ჩალა საკუთარ მოსახლეობას, ხალხმა კი მას აბსოლუტური უნდობლობა გამოუცხადა. თუ ადრე „ქართული ოცნების“ მეთოდებში შედიოდა დაპირებები და მოსყიდვა, ახლა ის ძალადობრივ მეთოდებზეა გადასული.

***– რეპრესიული პოლიტიკა დაიწყო?***

– ფაქტობრივად, დაიწყო. რამდენიმე წლის წინ ვპროგნოზირებდი, რომ ივანიშვილი და მისი ქვეშევრდომები რეპრესიებზე გადავიდოდნენ. სხვა გზა მათ მოჭრილი ექნებოდათ. ტყუილი და მოსყიდვა ადრე იყო, ახლა ძალადობაზე გადადიან, თუმცა, ხალხს ვერ აშინებენ. მოტყუებითაც ველარ ატყუებენ საზოგადოებას.

***– საპრეზიდენტო არჩევნების დროს დაპირებებიც იყო და მოსყიდვაც.***

– დიახ, მაგრამ მას შემდეგ მმართველი პარტია ყველანაირად გაკოტრდა. რასაც არ უნდა აკეთებდეს „ოცნება“, კონტრპროდუქტიულია. ოფიციალური სტატისტიკით უფრო ახელებენ გამწარებულ მოსახლეობას. გვეუბნებიან, რომ 200 და 300 ლარად შეიძლება ოჯახის გამოკვება. ან კიდევ, გვაჯერებენ, რომ ქვეყანაში საშუალო ხელფასი 1.000 ლარს აჭარბებს.

ამ მარიონეტულ ხელისუფლებაში ყველა ერთ თარგზეა მოჭრილი. ყველა გვარწმუნებს, რომ მძიმე და კატასტროფული სიტუაცია არ არის. ეკონომიკის მინისტრი რომ გაუშვეს, ამით რისი თქმა უნდათ? ახალი ეკონომიკის მინისტრი 2012 წელს ნაცმოძრაობის ანგარიშზე რიცხავდა თანხებს. ასეთი მინისტრით აწონებენ თავს ხალხს და გიგანტური ჰესებით?

ამ ჰესების ასაშენებლად სპეცრაზმს იყენებენ. იქით ხალხი გააშმაგეს, აქეთ – სპეცრაზმელების თავები გაახეთქინეს მოსახლეობას. გახარიამ ამ სიტუაციაში ვერაფერი გააკეთა. პირიქით, პოლიციელის და სპეცრაზმელის მუნდირი შელახა. ადრე ამ მინისტრმა ბოდიში მოიხადა მაშინ, როცა ეს არ უნდა გაეკეთებინა. მან მოუბოდიშა იმ საზოგადოებას, რომლის მიმართაც მკაცრი უნდა ყოფილიყო. ნარკორეალიზატორების წინააღმდეგ ჩატარებული ოპერაციები მოსაბოდიშებელი კი არა, შესაქები იყო.



გახარია ხალხს აჩვენებს, რომ რკინის ბიჭია, სინამდვილეში, ის ხელის ბიჭია. ასეთი ხელის ბიჭები თვითონ მართულ ივანიშვილს ბევრი ჰყავს. ვისაც როცა უნდა, მაშინ აგდებს სამსახურიდან, პრემიერებს ცხვირსახოცებივით იცვლის. ახლანდელმა პრემიერ-მინისტრმა საზოგადოება კიდევ აღაშფოთა, თითქოს სატკივარი აკლდეს.

***– რით აღაშფოთა მამუკა ბახტაძემ საზოგადოება?***

– ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე მას ლგბტ-საკითხზე დაუსვეს შეკითხვა. ბახტაძემ წინგადადგმული უწოდა ანტიდისკრიმინაციულ კანონს, რომელიც წინა მოწვევის „ოცნების“ პარლამენტმა მიიღო. პრემიერმა დასძინა, თუ საჭიროა, კანონს გავამკაცრებთ და თქვენს სხვა რეკომენდაციებსაც გავიზიარებთო.

პრემიერ-მინისტრმა პირობა დადო, რომ საქართველოში ლგბტ-პირებს, რომლებიც უცხოელებთან ერთად ივნისში პრაიდის გამართვას აპირებენ, ცივ ნიავს არ მიაკარებენ. ამით ის საზოგადოებას დაუპირისპირდა. ლგბტ-პირებს არავინ არაფერს უშავებს. ასეთი გამომწვევი მოქმედებები პროვოკაციულია.

***– ეს საზოგადოების დიდი ნაწილის აზრია?***

### „ლგბტ-პრაიდს ხალხი არ დაუშვებს“

– რასაკვირველია. მარტო ჩემი მოძრაობის სახელით არ ვლაპარაკობ. ეს უგვანი ხელისუფლება ხელს უწყობს პროვოკაციებს. 18-დან 23 ივნისის ჩათვლით ქართველი და უცხოელი ლგბტ-პირები თბილისში აწყობენ პრაიდს, რომლის დროს დაგეგმილია კონფერენციები, ივენთები, დისკოთეკები და ღირსების მარში.

ვაფრთხილებ ხელისუფლებას, რომ ლგბტ-პრაიდს ხალხი არ დაუშვებს. მისი მოწყობის მცდელობაც კი პროვოკაციული იქნება. ჩვენი საზოგადოებისთვის რწმენა, ტრადიციები და კულტურა ძალიან ღირებულია. ამიტომ, ჩვენს ფასეულობებს ნურც პრემიერი შეურაცხყოფს და ნურც სხვა.

2020 წლის არჩევნებამდე „ოცნება“ ისედაც ვერ მიატანს, ასეთი მოქმედებებით კი დააჩქარებს თავის პოლიტიკურ აღსასრულს.

# ნინო ჩხობაძე: „პანკისში ჰესის აშენებამ ხეობა შეიძლება უწყლოდ დატოვოს“

ნათია ხურცილავა

გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი, ეკოლოგი **ნინო ჩხობაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პანკისის ხეობაში ჰესის მშენებლობის საკითხზე საუბრობს.



***– ქალბატონო ნინო, წელიწადზე მეტია ხელისუფლება პანკისის ხეობაში მოსახლეობასთან მოლაპარაკებებს აწარმოებს ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით. თუმცა, ვნახეთ როგორია მოსახლეობის რეაქცია. თქვენ სად ხედავთ პრობლემას, უნდა აშენდეს თუ არა ჰესი?***

– საქართველოში ჩვენ გვაქვს ძალიან ცუდი პრაქტიკა ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებით. კვლევები არ არის ჩატარებული და ისე ხდება მშენებლობა. ეს ყოვლად წარმოუდგენელია. რა ზიანი შეიძლება მოიტანოს ეკოსისტემისთვის, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ ჩარევებს, ამაზე კვლევებზე დაფუძნებული ხედვები არ გვაქვს. ზოგ შემთხვევაში ეს არის ვარაუდების დონეზე და ზოგ შემთხვევაში კი ინვესტორის პოზიცია – თუ რაიმე უარყოფითი გამოიწვია, კომპენსაცია იქნება.

ეს არის სრულიად გაუგონარი მიდგომა.

ერთი წელი ხომ მიდიოდა მოლაპარაკებები მოსახლეობასთან, სწორედ ამ პერიოდში უნდა ჩატარებულიყო სერიოზული კვლევები, რაც რეალურ სურათს მოგვცემდა. ისე საუბარი, ზეპირად, მილში გავა წყალი და პრობლემა არ იქნება, არასერიოზულია.

ასეთი დამოკიდებულებით აშენებულმა ჰესებმა ძალიან ბევრ სოფელში პრობლემები შექმნა.

***– რა სახის არის ძირითადად პრობლემები?***

– წყალთან დაკავშირებული პრობლემები. ამან გამოიწვია ბევრგან საერთოდ წყლის დაშრობა და გაუდაბნოება და ბევრგან კიდევ შექმნა სხვა ტიპის პრობლემები, წყლის საერთოდ გაქრობა თუ არა, მკვეთრი კლება და ცვლილება.

პანკისის ხეობის შემთხვევაში კომპანია ამბობს, რომ თუ მოხდება წყლის გაქრობა, კომპენსაციაზე იფიქრებს. წინასწარ არაფერი შესწავლილი არ არის.

***– სოფელი უწყლოდაც შეიძლება დარჩეს?***

– დიახ, ამაზეა საუბარი. ეს არის ყველაზე დიდი პრობლემა, ეს არ არის შესწავლილი. თუ ასე მოხდება, შემდეგ რა ალტერნატივას სთავაზობს კომპანია ხეობას, ეს უნდა ეწეროს დოკუმენტში, რაც არ წერია.

***– მცირე და მსხვილი ჰესების მშენებლობაზე როგორია თქვენი პოზიცია? ქვეყანა ენერგოდამოუკიდებლობისთვის იბრძვის, რადგან 90-იანი წლები გამოვიარეთ და ვიცით, რას ნიშნავს რუსეთზე ენერგოდამოკიდებულება.***

– მე უკვე მგონია, რომ დემაგოგიაში გადადის ეს ყველაფერი. რეალური ენერგოდამოუკიდებლობა თუ გვინდა, მაშინ სხვა წყაროებიც უნდა ვეძებოთ.

***– მაგალითად?***

– მაგალითად, ქარისა და მზის ენერგიები უნდა გამოვიყენოთ. ასევე უფრო ეკონომიურები უნდა გავხდეთ. ენერგოეფექტურობის შესახებ კანონის მიღება ჯერ კიდევ როდის გვევალებოდა?! ეს კანონი დღემდე არ არის მიღებული. ვერც წინა ხელისუფლებამ მიიღო და ვერც ამ ხელისუფლებამ.

***– რას მოგვცემს ეს კანონი?***

– ენერგოეფექტურობის შესახებ კანონი პირველ რიგში გვეტყვის, თუ როგორ უნდა დავზოგოთ ელექტროენერგია, რომ არ გვქონდეს პიკური ხარჯვები.

რატომ არ ვფიქრობთ ქარზე, მზეზე?! ასევე რატომ არ ვფიქრობთ ცხელი წყლის გამოყენებაზე გათბობისთვის?! ამ ყველაფრის გამოყენება არის შესაძლებელი ალტერნატივის სახით.

ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება ისეთი პრობლემების წინაშე აღმოვჩნდეთ, რომ მერე ძალიან გვიან იყოს. დღეს ამ პრობლემების მნიშვნელობას რეალურად ადეკვატურად ვერც კი ვაცნობიერებთ.

***– რას გულისხმობთ?***

– წყლის რესურსი ისე კლებულობს, რომ ჩვენ შესაძლებელია ძალიან მალე დავდგეთ იმ საფრთხის წინაშე, რომ საერთოდ არ გვექნება შესაძლებლობა ჰიდროენერგეტიკის განვითარების. ხომ ხედავთ, როგორ იჩეხება ტყეები, როგორ ხდება ეკოსისტემაში უხეში ჩარევა და ა.შ. ეს ყველაფერი უკუშედეგებს გვაძლევს. ამიტომ უნდა ვიფიქროთ ალტერნატივებზე. არ უნდა ვაკეთოთ მე-20 საუკუნის ენერგეტიკა 21-ე საუკუნეში. მთელ მსოფლიოში უკვე სხვა მიდგომებია.

***– ცივილიზებული მსოფლიო ბუნებრივ ალტერნატივებს ეძებს და იმდენად აღარ არის დამოკიდებული დიდ ჰესებზე?***

– დიახ. რასაკვირველია. ევროპული სახელმწიფოები ახალ ჰესებს კი არ აშენებენ, საუბარია ძველი ჰესების აღდგენაზე. უნდა დავფიქრდეთ იმაზე, რომ ახალი ეკოსისტემები არ უნდა დავაზიანოთ.

ჩვენი ეკოსისტემა აღმოჩნდა იმდენად უნიკალური, რომ უფრო მეტ შემოსავალს გვაძლევს არა ენერგეტიკიდან, არამედ ტურიზმის განვითარებით უშუალოდ საქართველოს სხვადასხვა ხეობაში, ამაზე სერიოზულად უნდა ვიფიქროთ. ეს ბევრად უფრო შემოსავლიანი იქნება, ვიდრე ელექტროენერგიის გამომუშავება და მოსახლეობასაც უფრო მეტ კეთილდღეობას მოუტანს, ვიდრე ის, რომ ცალკე ინვესტორი გამდიდრდეს.

ამდენად, მოსახლეობისთვის უფრო დიდ ინტერესს წარმოადგენს შენახული ეკოსისტემა, რადგან უფრო მეტი ტურისტი ჩამოვა და ეს მისთვის უფრო მომგებიანია. ამიტომ, ნუ გაგიკვირდებათ ის პროტესტი, რომელიც მოსახლეობას აქვს.

კლიმატის ცვლილების ფონზე რეალური პრობლემების წინაშე ვდგავართ წყლის რესურსთან დაკავშირებით, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში. უმძიმესი სიტუაცია შეიძლება ამას მოჰყვეს. ამიტომ, ყოველწლიური გააზრებაა საჭირო, თუ რას ვაკეთებთ.

კონკრეტული სტრატეგიები უნდა შევიმუშაოთ.

### წყალტუბოში ჰესის მშენებლობა იგეგმება, რასაც ადგილობრივები არ დაუშვებენ

პანკისში განვითარებულ მოვლენებს წყალტუბოს მცხოვრებლები გამოეხმაურნენ. ისინი პანკისელებს სოლიდარობას უცხადებენ და წყალტუბოში მასშტაბური ჰესის მშენებლობას აპროტესტებენ. ადგილობრივების თქმით, ხელისუფლება წყალტუბოსა და ცაგერის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მასშტაბური ჰესების მშენებლობას გეგმავს, რასაც ისინი არ დაუშვებენ.

„ნამახვან ჰესის“ აშენების შემთხვევაში 16 სოფელი დაიტბორება. აღარ გვექნება წინაპრების საფლავები“, – აცხადებენ შეხვედრის მონაწილეები.

**BPN**

### გიორგი გახარია: „თუ „ევროპული საქართველოს“ რომელიმე ლიდერს სურს დამატებით კიდევ ჩემი ნახვა, შეუძლიათ დამპატიჟონ ყავაზე“

შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ, პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძესთან ერთად, დაშავებული პოლიციელების მონახულების შემდეგ ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა.

კითხვაზე, საპარლამენტო უმცირესობის მოთხოვნით მივა თუ არა პარლამენტში, პანკისის ხეობის მოვლენებზე სასაუბროდ, გიორგი გახარიამ განაცხადა, რომ საპარლამენტო მოსმენა მაისის პირველ კვირაშია დაგეგმილი, სადაც მას მინისტრის საათის ფარგლებში ექნება გამოსვლა.

– მე პარლამენტში ბოლო თვეების განმავლობაში ვიყავი უკვე 4-ჯერ. რეალურად არანაირი პრობლემა არც მე და არცერთ ჩემი გუნდის წარმომადგენელს, მიმართოს და იდგეს პარლამენტის ტრიბუნაზე – არ აქვს. მე როგორც ვიცი, მაქვს დაგეგმილი საპარლამენტო მოსმენა „მინისტრის საათი“, მაისის პირველ კვირაში. რა თქმა უნდა, მე ამ ჩემს ვალდებულებას შევასრულებ და მივალ. თუ „ევროპული საქართველოს“ რომელიმე ლიდერს სურს დამატებით კიდევ ჩემი ნახვა, შეუძლიათ დამპატიჟონ ყავაზე და მივალ, დაველაპარაკები, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

### რუსმა ოკუპანტებმა სამი დღის წინ დაკავებული გოჩა ფიდიური გაათავისუფლეს




რუსმა ოკუპანტებმა სამი დღის წინ დაკავებული გოჩა ფიდიური გაათავისუფლეს. საოკუპაციო რეჟიმმა ფიდიური ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთისთვის ჯარიმის გადახდის შემდეგ გაათავისუფლა.

გათავისუფლებული საკუთარ ოჯახს შსს-ს შიდა ქართლის დეპარტამენტში დაკითხვის შემდეგ დაუბრუნდება. ოკუპანტებმა ქართველი მწყემსი სოფელ მეჯვრისხევის მინდვრებიდან 20 აპრილს გაიტაცეს.

# აბასთუმანში ღია პარკინგისა და ავტოსადგურის მოწყობაზე 9,3 მლნ-მდე დაიხარჯება

ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფელ აბასთუმანში სადგური და ღია ავტოსადგომი აშენდება.

მუნიციპალური განვითარების ფონდმა პროექტირებისა და მშენებლობის მიზნით ტენდერი უკვე გამოაცხადა. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 9,28 მლნ ლარია.



ავტოსადგომი 4,2 ჰა-ზე მოწყობა და გათვლილი იქნება 1.000 ავტომობილზე, აქედან 200 ავტოსადგომი ელექტრომანქანისთვის, სატენი პორტალების პორტალებით, რომელთაგან 100 ავტოსადგომი უნდა იყოს გადახურული; – 10 ავტობუსის ავტოსადგომი.

ამავდროულად იგეგმება მცირე სადგურის მოწყობა მოსაცდელი ფართით მინიმუმ 150 ადამიანზე. გათვალისწინებულია ფუნქციონირებისთვის საჭირო ყველა შიდა სივრცის მოწყობა, მათ შორის ოფისი სადგურისა და ავტოსადგომის მენეჯმენტისთვის, ბილეთების სალაროები, საერთო მოსაცდელი სკამებით და განრიგის ამსახველი ეკრანებით, აღჭურვილი აუდიო სისტემით, ხმოვანი მითითებების გამოსაცხადებლად, საპირფარეშოები (ფასიანი შესასვლელი აპარატით), გასახდელი პერსონალისთვის (ინდივიდუალური სან. კვანძით და საშხაპე კაბინით) და ა.შ. სადგური მოემსახურება საზოგადოებრივ ტრანსპორტს სტუმართა გადასაყვანად ავტოსადგომიდან დაბა აბასთუმანში.

სატენდერო წინადადების მიღების ვადა სრულდება 10 მაისს.

GBC

# კოვზანაძე: შესაძლებლობა გვაქვს, დეველოპმენტის მიმართულებით საბანკო რეგულაციებს გადავხედოთ



პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძე გადაცემა Forbes-ის კვირაში ამბობს, რომ მისი შეფასებით, იპოთეკური სესხების მიმართულებით საბანკო რეგულაციების შემცირება შესაძლებელია.

ირაკლი კოვზანაძის აზრით, იპოთეკური სესხების მიმართულებით, არსებული ვითარება იძლევა შესაძლებლობას, რომ ამ ბაზართან მიმართებით შედარებით განსხვავებული მოთხოვნები ვრცელდებოდეს.

რეგულაციებთან დაკავშირებით მინდა მცირე სტატისტიკა მოვიყვანო, რა მდგომარეობა გვქონდა ჩვენ 2019 წლის პირველ იანვრამდე – ფიზიკური პირების დაკრედიტების ზრდა ორნახევარჯერ აღემატებოდა იურიდიული პირების დაკრედიტების ზრდას. ხოლო მთლიანად დაკრედიტების ზრდის ტემპი იყო ხუთჯერ უფრო მაღალი, ვიდრე მთლიანად ეკონომიკური ზრდა. ეს იწვევდა საბოლოო ჯამში, სავალო წნეხის ზრდას მოქალაქეებზე, აქედან იყო გამოწვეული ის პრობლემები, რაც იყო.

მე აქ ბანკებს ნაკლებად ვგულისხმობ, სხვა საკრედიტო ორგანიზაციები პრაქტიკულად სესხებს გასცემდნენ ისე, რომ არ იყო მოქალაქეთა გადახდისუნარიანობა შესწავლილი. საბოლოო ჯამში, ფიზიკური პირების დაკრედიტების ზრდის ტემპის ჯერადი უფრო მაღალი იყო და იზრდებოდა უფრო მეტად, ვიდრე მისი მომსახურების შესაძლებლობები. ეს იყო არანორმალური და რისკების მნიშვნელოვანი ზრდა, საბოლოო ჯამში, პრობლემას უქმნიდა ჩვენი ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილურობას. ამან გამოიწვია ის, რომ პირველი იანვრიდან შემოღებულ იქნა ეს ეგრეთ წოდებული პასუხისმგებლიანი დაკრედიტება. მე ვიტყოდი, ეს არის პრევენცია სისტემური რისკებისა.

არ გეგონოთ, რომ ვინმემ აქ ნოუ-ჰაუ გააკეთა, ცენტრალურმა ბანკმა ან ვინმემ. ეს წესები შემოღებულია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და საქართველოში არის ბევრად უფრო რბილად გამოყენებული, ვიდრე სხვა ქვეყნებში, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ერთი კვარტალია გასული, ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა, გარკვეულ სეგმენტში უფრო რბილად მოვქცეულიყავით. შესაძლებლობა გვქონდა, უფრო ელასტიკურები ვყოფილიყავით იმ სეგმენტში, სადაც ნაკლები მოწყვლადობა გვაქვს.

მაგალითად, ასეთია, დეველოპმენტის სექტორი. ვინც ამ სექტორში არის, უფრო მაღალი შემოსავალი აქვს, უფრო ნაკლებად მოწყვლადია. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, რომ ამ ნაწილს გადავხედოთ. ეს არის ჩემი პერსონალური მოსაზრება.

დასაკვირვებლად, მე ვფიქრობ, რომ არის 6 თვე, ცენტრალური ბანკი უფრო მეტ პერიოდს ფიქრობს, მაგრამ მე ბანკირი ვარ და ამ სექტორში თითქმის 20 წელზე მეტია ვმუშაობ და ჩემი გადმოსახედიდან, როგორც ბანკირი, ვფიქრობ, რომ 6 თვე არის პერიოდი, რომელზე დაყრდნობითაც ამ სექტორში გარკვეული დასკვნები შეგვიძლია გავაკეთოთ, – ამბობს ირაკლი კოვზანაძე.

BMG

# რამდენი უნდა იყოს რეალური საარსებო მინიმუმი?

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის გასული თვის მონაცემებით დადგინდა, რომ ერთი ზრდასრული, შრომისუნარიანი მამაკაცისთვის თვიდან თვემდე არსებობისთვის 181 ლარი და 20 თეთრია საკმარისი. კიდევ უფრო ნაკლები თანხით (160,5 ლარი) შეუძლია თავის გატანა საშუალო მომხმარებელს, ხოლო საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი, რომელიც 3-4 წევრისგან შედგება, თვეში 288,9-321 ლარია. აღნიშნულ გაანგარიშებას არ იზიარებს სტატისტიკოსი სოსო არჩვაძე. როგორც ის „კვირის პალიტრასთან“ საუბრისას აცხადებს, ყველა საერთაშორისო სტანდარტით, ჩვენისთანა ქვეყნისთვის ხარჯების პროპორცია უნდა იყოს 50/50-ზე, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 330 ლარია და არა 181 ლარი.

– რა თქმა უნდა, ხელისუფლება უფრო ყინჩად დაიჭერს თავს, თუ ღარიბთა რაოდენობა ოფიციალურად, ქაღალდზე, ნაკლები დაფიქსირ-



დება და სათქმელიც ექნება, რომ მისი პოლიტიკის წყალობით სიღარიბე შემცირდა. ყველა საერთაშორისო სტანდარტით, ჩვენისთანა ქვეყნისთვის ხარჯების პროპორცია უნდა იყოს 50/50-ზე, ანუ საარსებო მინიმუმში ნახევარი უნდა ეთმობოდეს სურსათს, მეორე ნახევარი კი სხვა ხარჯებს. თუ ამ მიდგომით დავიანგარიშებთ, აღმოჩნდება, რომ საქართველოში შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 330 ლარია, ნაცვლად ახლანდელი 181 ლარისა, – აცხადებს სოსო არჩვაძე.

BPN

# ვინ აშენებს ჰესს პანკისის ხეობაში

ახმეტის მუნიციპალიტეტში, პანკისის ხეობაში, მდინარე ალაზანზე მესამე ჰესის, „ხადორი 3“-ის მშენებლობას მოსახლეობის პროტესტი და დაპირისპირება მოჰყვა.

ადგილობრივები აცხადებენ, რომ ჰესის მშენებლობას არ დაუშვებენ. ჰესის მშენებლობა ამ დროისთვის შეჩერებულია და შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, სამუშაოები მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიწყება, თუ მოსახლეობის 90% ამაზე თანახმა იქნება.

საუბარია, ჰიდროელექტროსადგურზე, რომლის სიმძლავრეც 5,4 მგვტ, წლიური გამომუშავება კი 27,5 მილიონი კლვტ/სთ-ია. აღსანიშნავია, რომ პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ინვესტორები „სამყურაწყალი 2“ -ის ჰესის მშენებლობასაც გეგმავენ. ორივე პროექტის ჯამური ინვესტიცია 40 მილიონი აშშ დოლარზე მეტია, ხოლო ორივე ჰესი ჯამურად გამოიმუშავებს 160 მლნ კვტ/სთ ელექტროენერგიას.



პანკისის ხეობაში ჰესების აშენებას კომპანიები „ალაზანი ენერჯი“ და „ფერი“ გეგმავენ. „ხადორი 2“ შპს „ფერის“ საკუთრებაა, ხოლო ჰესს შპს „ალაზანი ენერჯი“ აშენებს. „ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა თუ ვის საკუთრებაშია აღნიშნული კომპანიები.

რეესტრის 3 აპრილის ამონაწერით, შპს „ფერის“ 96%-ს იოსებ მჭედლიშვილი, 4%-ს კი კახაბერ შევარდნაძე ფლობს. კომპანიის დირექტორი მერაბ იორდანიშვილია. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, 2017 წელს „ფერის“ შემოსავალმა 71,281 მლნ ლარი შეადგინა, პირდაპირი ხარჯები კი 50,674 მლნ ლარი იყო. ანგარიშგების მიხედვით, კომპანიის მოგებამ დაბეგვრამდე 2017 წელს 14,833 მლნ ლარი შეადგინა.

ანგარიშგების მიხედვით, შპს ფერი 1991 წელს დაარსდა და მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს დაპროექტება, სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოები საქართველოს მასშტაბით, რომელშიც შედის ჰიდროტექნიკური ნაგებობების, გვირაბების, გზების და სხვა მშენებლობები. ასევე ჰიდროელექტროსადგურების მონტაჟი და ოპერირება.

ამასთან, ანგარიშგების მიხედვით, „ფერის“ საკუთრებაშია სს „დარიალენერჯი“, რომელიც ფლობს ჰიდროელექტროსადგურს „დარიალჰესს“. ამ უკანასკნელის მშენებლობა 2016 წლის ნოემბერში დასრულდა. „დარიალი ენერჯიმ“ ელექტროენერგიის წარმოება და გაყიდვა 2016 წლის ბოლოსთვის დაიწყო.

გარდა ამისა, როგორც რეესტრშია აღნიშნული, „ფერი“ ფლობს შპს „ენერგიას“ 30%-იან წილსაც. სწორედ ამ უკანასკნელმა ააშენა ყაზბეგში „ლარსი ჰესი“ და ყვარლის რაიონში „შილდა ჰესი“. ცნობისთვის, „ენერგიას“ 70%-იან წილს რუსეთის ფედერაციის მოქალაქე მევლუდ ბლიაძე ფლობს. დირექტორები კი დავით და გაიოზ უგრელიძეები არიან.

რაც შეეხება „ალაზანი ენერჯის“, რომელიც „ხადორი 3“-ს აშენებს, რეესტრის გასული წლის მარტის ამონაწერის მიხედვით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი ლაშა იორდანიშვილი, ხოლო დირექტორი გიორგი გოგავაა. კომპანია 2016 წელს არის დაფუძნებული.

შეგახსენებთ, რომ ჰესი ხადორი 3-ის მშენებლობა გასული წლის 29 ივნისსაც დაიწყო, მაგრამ მოსახლეობის პროტესტის გამო სამუშაოები მაშინაც შეჩერდა. ცნობისთვის, პანკისის ხეობაში უკვე ფუნქციონირებს ორი ჰესი – „ხადორი 1“ და „ხადორი 2“.

BPN

# ონლაინ თაღლითები საბანკო ანგარიშებს ისევ უტევენ



საბანკო ანგარიშებს ონლაინ თაღლითები ისევ უტევენ. მათი მორიგი მსხვერპლი აღმოჩნდა „ეკონომიკური ტრანსფორმაციის ცენტრის“ პრეზიდენტი რამაზ გერლიანი, რომელსაც არა მხოლოდ „საქართველოს ბანკის“ ანგარიში გაუტეხეს, არამედ „თიბისი ბანკის“ ანგარიშზე წვდომასაც შეეცადნენ.

„ბიზნესპრესნიუსი“ რამაზ გერლიანის პოსტს უცვლელად გთავაზობთ:

– თაღლითობის კვირეული მქონდა...! მოკლედ, სოლო მომხმარებელი ვარ საქართველოს ბანკის, ჩემი ინტერნეტბანკი გატეხეს 16 აპრილს, წაიღეს თანხა როგორც სოლო ანგარიშიდან, ასევე იპო ანგარიშიდან. აღმოვაჩინე 18 აპრილს, დილის 6 საათზე, უთენია რეგიონში მივდიოდი, მივწერე ბანკს (პირად ბანკირს), მერე დაურეკე პირად ბანკირს, სადღაც 9 საათი იქნებოდა. ცხელ ხაზე დარეკეო, დავრეკე ცხელ ხაზზე ბანკის, არავითარი ინფორმაცია არ მომცეს, არც დაბლოკეს. შენი ტელეფონის ნომერი არ ემთხვევაო – თაღლითებმა ჩემი ტელეფონის ნომერი შეცვალეს – ისევ მომიწია ბანკირთან რეკვა, რომ რაღაც მოემოქმედებინათ. ველოდები 18 რიცხვის მერე ბანკის რეაგირებას. დღეს, 22 აპრილს, მე თვითონ მოვიკითხე და გენიალური გადაწყვეტილება – პოლიციას მიმართეო. დღეს კრედიტის გადახდის დღე მაქვს საქ. ბანკში, სავარაუდოდ, ვერ გადავიხდი და ალბათ, დამაჯარიმებენ.. დაზღვევაზე ვკითხე ბანკს (მე ხომ სოლო მომხმარებელი ვარ) და არასანქცირებული შესვლის დროს არ მოქმედებსო (ე.ი. თაღლითობა სანქცირებული ყოფილა), როგორ გამოიყურება თაღლითური საიტი და რით უნდა განმესხვავებინა, ამაზე პასუხი არ აქვთ. ასევე, შაბათს, საღამოს 6 საათისკენ დამიკავშირდა TBC ბანკი, ანგარიშები დაგიბლოკეთ, რადგან თქვენი ინტერნეტ ბანკის გატეხვის მცდელობა იყოო, თან პირადი ნომერი მთხოვა.. დავეჭვდი, კიდევ ხომ არ მატყუებს ვინმე და გადავამოწმე, რომ ნამდვილად TBC იყო. დადასტურდა, მართლა მცდელობა იყო გატეხვის. ამ ბოლო პერიოდში ჩემი ტელეფონი ურევს (განსაკუთრებით, ჯეოსელი) – სავარაუდოდ, როგორც ჩემს ზარებს, ასევე სმს სხვები აკონტროლებენ (სავარაუდო ნომერსაც მივაწვდი პოლიციას).

P.S. ამ პოსტის მერე ამონაწერითურთ მივდივარ პოლიციაში და დიდი იმედი მაქვს, რეაქცია იქნება დროული, – წერს რამაზ გერლიანი.

# სამ თვეში 21 მილიონი ლარის ღირებულების სახელმწიფო ქონება გაიყიდა




სამ თვეში „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ 403 აუქციონის შედეგად 21.2 მლნ ლარის ღირებულების სახელმწიფო ქონება გაიყიდა, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსმა“ ინფორმაცია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან“ გამოითხოვა.

სააგენტოს ინფორმაციით, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 403 აუქციონი შედგა, რის შედეგადაც 21.291.197 ლარის სახელმწიფო ქონების პრივატიზება მოხდა.

აღსანიშნავია, რომ გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით, წელს სააგენტომ მეტი აუქციონი გამოაცხადა, თუმცა გაყიდული სახელმწიფო ქონების ღირებულება დაახლოებით 13 მლნ ლარითაა შემცირებული.

კერძოდ, 2018 წლის პირველ კვარტალში სააგენტომ 355 აუქციონის შედეგად 34.222.356 ლარის მობილიზება შეძლო.

რაც შეეხება იმ ობიექტებს, რომლებიც სამი თვის განმავლობაში გაიყიდა, როგორც „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში“ განმარტავენ, მათ შორის არც ერთი სახელმწიფო საწარმო არ ფიქსირდება.

შეგახსენებთ, რომ 2018 წელს „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ მიერ სახელმწიფო ქონების პრივატიზების შედეგად ბიუჯეტში 116.892.431 ლარი შევიდა და შედეგად, საპრივატიზაციო გეგმა უწყებამ 151%-ით შეასრულა.

რაც შეეხება მიმდინარე წელს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების უკვე ყოფილი მინისტრის გიორგი ქობულიას განცხადებით, წელს უწყება ჯამში 170 მლნ ლარის ღირებულების სახელმწიფო ქონების გაყიდვას გეგმავს. უფრო კონკრეტულად, ექსმინისტრის განცხადებით, დაგეგმილია 120 მილიონი ლარის ღირებულების მსხვილი უძრავი ქონების, 30 მილიონი ლარის სახელმწიფო საწარმოებისა და 20 მილიონი ლარის წვრილი ქონების პრივატიზება.

BPN

# ლევან ჯიბლაშვილი დააკავეს

## მისი მანქანიდან ნარკოტიკები ამოიღეს



21 აპრილს თბილისში ნარკოდანაშაულის ბრალდებით ცნობილი ბიზნესმენი და მსახიობი ლევან ჯიბლაშვილი დააკავეს.

გამოძიების ინფორმაციით, მსახიობის ავტომობილიდან ჩხრეკის შედეგად ამოღებულია ნარკოტიკული საშუალებები.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა ითვალისწინებს და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 6 წლამდე.

„კურიერი" ლევან ჯიბლაშვილის დედას დაუკავშირდა, რომელმაც განაცხადა:

– ადგილი აქვს გაუგებრობას, არაფერი არ ვიცი, რეგიონიდან ჩამოვდივარ თბილისში.

დაკავებული გუშინ მცხეთის იზოლატორში იმყოფებოდა. ჯიბლაშვილის ადვოკატი, ამირან გიგუაშვილი ამბობს, რომ ამ დროისთვის საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს და დეტალებზე მოგვიანებით ისაუბრებს.

– ჯერჯერობით, ვერანაირ ინფორმაციას ამ თვალსაზრისით ვერ დაგიდასტურებთ და ვერც ვერანაირ დამატებით განმარტებებს ვერ გავაკეთებთ იმიტომ, რომ ველოდებით გარკვეული საგამოძიებო მოქმედებების დასრულებას, რომლის შემდეგაც შეგვეძლება უფრო დეტალური ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისთვის.

ამ ეტაპზე ამ საკითხთან დაკავშირებით, ვერ გავაკეთებ დამატებით კომენტარს, – განაცხადა ადვოკატმა.

მისი თქმით, ლევან ჯიბლაშვილი ავტომობილით მოძრაობდა, ის საპატრულო პოლიციამ შეაჩერა და სწორედ ამის შემდეგ მოხდა მისი ავტომობილიდან ნივთიერების ამოღება.

როგორც ადვოკატი განმარტავს, ჯიბლაშვილის ავტომობილის ჩხრეკისას ამოღებული ნივთიერება ექსპერტიზაზეა გადაგზავნილი.

– თუ რა ნივთიერება არის ამოღებული და რამდენად არის ის ნარკოტიკული ნივთიერება, ამასთან დაკავშირებით, ექსპერტიზა მიმდინარეობს. ლევანს ჯერ ბრალი წაყენებული არ აქვს, ველოდებით ექსპერტიზის პასუხებს, მაგრამ მინდა საზოგადოება დავარწმუნო, რომ ლევან ჯიბლაშვილი, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი მოქალაქეობრივი პოზიციით, აქტიურად ითანამშრომლებს გამოძიებასთან და შეეცდება ამ საქმეზე დადგინდეს ობიექტური ჭეშმარიტება და საზოგადოებისათვის ყველა კითხვაზე დამაჯერებელი, ადეკვატური პასუხი იყოს გაცემული, – განაცხადა გიგუაშვილმა.

გუშინ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ დაკავების მომენტში ცნობილმა მსახიობმა დასახმარებლად თბილისის მერის კახი კალაძის სახელი ახსენა.

– სასწრაფოდ დაურეკეთ კალაძეს – თვითმხილველების ინფორმაციით, ლევან ჯიბლაშვილი თბილისის მერის სახელს ახსენებდა და ითხოვდა, რომ მისი დაკავების შესახებ ინფორმაცია კახი კალაძისთვის მიეწოდებინათ.

ადვოკატმა გიგუაშვილმა ეს ინფორმაცია უარყო.

– ეს არის სრული სისულელე, პირდაპირ შემიძლია გითხრათ. ეს ოდნავადაც კი არ შეესაბამება რეალობას. ლევან ჯიბლაშვილი, როგორც კეთილსინდისიერი მოქალაქე და საზოგადოებისათვის ცნობილი პიროვნება, მისი შემოწმების პერიოდიდან აქტიურად ეხმარება გამოძიებას არსებული სიტუაციის გარკვევაში, რათა ობიექტური ჭეშმარიტება დადგინდეს.

ვინმეს სახელის ხსენება, ან მსგავსი არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო, ეს ყველაფერი ჭორია, – განაცხადა ამირან გიგუაშვილმა.

# „ლიბერთი ბანკზე" ყაჩაღური თავდასხმა ერთმა პირმა აღიარა

## დანარჩენები დუმილის უფლებას იყენებენ




„ლიბერთი ბანკზე" ყაჩაღური თავდასხმის ფაქტზე დაკავებული 3 პირიდან ერთ-ერთმა, გურამ ხვადაგიანმა, ბრალი აღიარა.

აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს" ხვადაგიანის ადვოკატმა, ლამარა ბზიშვილმა განუცხადა.

როგორც ის განმარტავს, 22 აპრილის სასამართლო სხდომაზე მან მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით 4.000 ლარიანი გირაოს გამოყენება მოითხოვა. თუმცა, სასამართლომ აღნიშნული შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

რაც შეეხება დანარჩენ ორ პირს, ნიკოლოზ ჯანიაშვილსა და ამირან ლაკვახელიანს, ისინი დუმილის უფლებას იყენებენ.

სამივე მათგანს სასამართლომ გუშინ, 22 აპრილს, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

მიმდინარე წლის 19 აპრილს, დილის საათებში, 3 შეიარაღებული ნიღბიანი პირი „ლიბერთი ბანკის" ვარკეთილის ფილიალს თავს დაესხა.

მათ იარაღის მუქარით გაიტაცეს 2.045 ლარი და მიიმალნენ.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ქილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ზვიად კუპრავას საქმეზე სასამართლო პროცესი გადაიდო



სასამართლოს უპატივცემულობის ფაქტზე დაკავებული „სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის" ხელმძღვანელის ზვიად კუპრავას ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო პროცესი გადაიდო.

გასულ კვირას გამართულ სასამართლო პროცესზე დაცვის მხარის მტკიცებულებები გამოიკვლიეს, მათ შორის, დაიკითხა ზვიად კუპრავაც.

მხარეებმა ამით მტკიცებულებების გამოკვლევა დაასრულეს.

როგორც საქმის პროკურორი დავით კიკაჩეიშვილი განმარტავს, ბრალდების მხარეს გამამტყუნებელი განაჩენის მოლოდინი აქვს. მისივე თქმით, სქემაში არსებული მტკიცებულებები ზვიად კუპრავას მიერ კონკრეტული მოსამართლის მისამართით შეურაცხმყოფელი ფრაზის წარმოთქმას ადასტურებს.

საპირისპიროს ამტკიცებს ზვიად კუპრავას ადვოკატი, ლევან დავითაია და აღნიშნავს, რომ კუპრავას საქმე პოლიტიზირებულია.

შეგახსენებთ, გამოძიების ინფორმაციით, 2018 წლის 11 ივნისს ზვიად კუპრავამ სასამართლოს შენობაში სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მოსამართლეს, რისთვისაც მას ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლით (სასამართლოს უპატივცემულობა).

ამისთვის ზვიად კუპრავას აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო, იმ მიზნით, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული ბრალდებულის მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენა და უზრუნველყოფილიყო სამართალდამცავ ორგანოში/სასამართლოში მისი გამოცხადება.

გამოძიების ინფორმაციით, სასამართლოს უპატივცემულობის შემდეგ, გირაოს ქვეშ მყოფმა ზვიად კუპრავამ, ასევე სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ადვოკატს.

აღნიშნული ქმედებისთვის ზვიად კუპრავას სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით (ძალადობა) ბრალი დაუსწრებლად წარედგინა, ვინაიდან მან თავი აარიდა სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას. გირაოს პირობების დარღვევის – ახალი დანაშაულის შესაძლო ჩადენის, სამართალდამცავ ორგანოში არგამოცხადების, მართლმსაჯულებისთვის თავის არიდების – გამო, სასამართლოს გადაწყვეტილებით მიმდინარე წლის 21 თებერვალს ზვიად კუპრავას გირაო შეეცვალა უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით – პატიმრობით.

# მეგობარი ქალის თვითმკვლელობამდე მიყვანისთვის თ.ა.-ს 4 წელი მიესაჯა



ოჯახის წევრის მიმართ გენდერული დისკრიმინაციის მოტივით ჩადენილ ძალადობაში და თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანაში ბრალდებულს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ოჯახის წევრის მიმართ სისტემურ ფიზიკურ ძალადობაში და თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანაში ბრალდებული თ.ა. დამნაშავედ ცნო.

წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ თ.ა. 2018 წლის 3 ივნისიდან 28 ივნისის ჩათვლით, გენდერული დისკრიმინაციის მოტივით, სისტემურ ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა და სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდა მასთან ერთად მცხოვრებ მეგობარ ქალს, რასაც დაზარალებულის არასრულწლოვანი შვილი შეესწრო. თ.ა.-ს მიერ განხორციელებული სისტემური ფიზიკური შეურაცხყოფის შედეგად, დაზარალებულმა თვითმკვლელობა სცადა.

სამართალდამცველებმა თ.ა. 2018 წლის 2 ივლისს ქ.თბილისში დააკავეს. მას ბრალად წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 111 – 126 მუხლის 12 ნაწილით; 1261 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით, 111-115 პირველი ნაწილით და 111-151 პირველი ნაწილით (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სისტემური ძალადობა, ჩადენილი არასრულწლოვანის თანდასწრებით, სიცოცხლის მოსპობის მუქარა, თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ თ.ა. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 4 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# ფოთში მანქანა ელექტრობოძს დაეჯახა, რომელიც წაიქცა და კაცს დაეცა



ფოთში, ჭავჭავაძის ქუჩაზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ორი ადამიანი დაშავდა.

თვითმხილველთა ინფორმაციით, „ფორდის" მარკის ავტომანქანა ელექტრობოძს დაეჯახა, წაქცეული ბოძი კი იქვე, ჭიშკართან მდგომ ახალგაზრდა მამაკაცს დაეცა.

დაშავებულია მანქანის მძღოლიც. ადგილზე სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ორი ბრიგადა იმყოფებოდა.

– ადგილზე მისულებს დაგვხვდა ორი დაშავებული. გავუწიეთ შესაბამისი დახმარება და გადავიყვანეთ ქალაქის ჰოსპიტალში. ჭიშკართან მდგომი ახალგაზრდა მამაკაცის მდგომარეობა კრიტიკული, მეორის კი სტაბილურია, – განუცხადა ჟურნალისტებს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ფოთის ცენტრის მენეჯერმა კესო გელენიძემ.

შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია.

# წყნეთში მაშველებმა ხევში ჩარჩენილი 2 მოქალაქე ამოიყვანეს



დაბა წყნეთში მეხანძრე-მაშველებმა ხევში ჩარჩენილი 2 მოქალაქე უვნებლად ამოიყვანეს.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, მოქალაქეები შოთა რუსთაველის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ, დაახლოებით 15 მეტრის სიღრმის ხევში იმყოფებოდნენ და ამოსვლას ვეღარ ახერხებდნენ.

მათივე ცნობით, ცუდი ხილვადობის და რთული მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად, მეხანძრე-მაშველებმა ორივე მოქალაქე უსაფრთხო ადგილზე რამდენიმე წუთში გამოიყვანეს.

# მელიქიშვილის გამზირზე ავტომობილი დაიწვა



თბილისში, მელიქიშვილის გამზირზე მსუბუქ ავტომობილს ცეცხლი გაუჩნდა.

შემთხვევის დროს ავტომობილში მხოლოდ მძღოლი იმყოფებოდა, რომელმაც გადმოსვლა მოასწრო.

ჯერჯერობით უცნობია, რა გახდა შემთხვევის მიზეზი.

# პან გოლობოროდკო უკრაინის პრეზიდენტი გახდა



პან გოლობოროდკო – ასე ერქვა გახმაურებული სერიალის, „ხალხის მსახურის“, მთავარ გმირს. მისი სიუჟეტი მარტივია: უბრალო ისტორიის მასწავლებელი გოლობოროდკო შეშფოთებულია ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობით, პოლიტიკაში მიდის და საარჩევნო კამპანიაში ებმება. მას პრეზიდენტად ირჩევენ.

გოლობოროდკოს როლი ზელენსკიმ შეასრულა და საყოველთაო სიყვარული მოიპოვა.

საპრეზიდენტო არჩევნებმა მშვიდად, ექსცესების გარეშე ჩაიარა. ზელენსკიმ ხმების 73% დააგროვა. მოქმედმა პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ 25%. ზელენსკი პრეზიდენტი გახდა. ვირტუალური პან გოლობოროდკო რეალობად იქცა.

უკრაინის დამოუკიდებლობის 25 წლის მანძილზე პირველად პრორუსი კანდიდატი მეორე ტურშიც ვერ გავიდა. ბოიკომ, რომელსაც რუსეთი პროტექციას ღიად უწევდა, ხმების მხოლოდ 10% დააგროვა. ეს მოსკოვის სერიოზული მარცხია.

– პუტინმა ძლიერი დარტყმა მიიღო. ის ამას არ გვაპატიებს და რევანშის აღებას შეეცდება, – თვლის პოლიტოლოგი ტარას ბერეზინეცი.

ზელენსკის გამარჯვებით უკრაინაში პოსტსაბჭოური ხანა დამთავრდა. დაიწყო ახალი ეტაპი, რაც სახელმწიფოს შემდგომ გაძლიერებას ითვალისწინებს.

აუცილებელია ფართომასშტაბიანი ლიბერალური რეფორმების გატარება. უნდა განეიტრალდეს კორუფცია, პრორუსული ლობის გავლენა, აილაგმოს ოლიგარქების თვითნებობა. საამისოდ ძლიერი ლიდერი და პატრიოტული პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდია აუცილებელი. ზელენსკის კი არც პოლიტიკური ბრძოლის გამოცდილება გააჩნია, არც საკუთარი ძლიერი გუნდი, არც კონკრეტული სტრატეგიული თუ ტაქტიკური გეგმა.

კიევში გამართულ პრესკონფერენციაზე ზელენსკიმ კვლავ განაცხადა, რომ კურსს ევროკავშირსა და ნატოსკენ ალტერნატივა არ აქვს. შეკითხვაზე, რუსეთთან ურთიერთობა როგორ გესახებათო, მიუგო, რომ ნორმანდიულ ფორმატში დიალოგი გაგრძელდება და ამ ფორმატის გაფართოებაც მოსალოდნელია. პრიორიტეტი დონბასში ცეცხლის შეწყვეტაა.

ამავე დროს, მან რეგიონისთვის ავტონომიის მინიჭება კატეგორიულად გამორიცხა.

– დონბასი ვერანაირ განსაკუთრებულ სტატუსს ვერ მიიღებს, – განაცხადა ზელენსკიმ.

მან აღნიშნა, რომ მისი ერთ-ერთი მიზანია ყველა უკრაინელი სამხედრო ტყვის განთავისუფლეება. ასეთებად მოიხსენია მან ჯარისკაცები, რომლებიც ფრონტზე რუსებმა ტყვედ ჩაიგდეს და მეზღვაურები, რომლებიც მტერმა ქერჩის სრუტეში ჩაიგდო ხელში. ზელენსკიმ თქვა, რომ იწყება საინფორმაციო კამპანია როგორც სამხედრო ტყვეების გათავისუფლების, ასევე დონბასში მშვიდობის აღდგენის მიზნით.

– უკრაინელ ჟურნალისტებს ვთხოვ, ამაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ, – ამბობს ახლად არჩეული პრეზიდენტი.

ამრიგად, უკრაინის პროდასავლური ვექტორი უცვლელი რჩება. უკრაინა უარყოფს დონბასში პუტინის ე.წ. „სამშვიდობო სქემასაც“.

ამან მოსკოვის მწვავე რეაქცია გამოიწვია. რუსეთის პირველი პირები უკვე ღიად აცხადებენ, რომ მათი მიზანი უკრაინის დეზინტეგრაციაა.

– მოდით, თავს ნუ მოვიტყუებთ: უკრაინა არავითარი მოძმე ერი არააა! მათ ჩვენთან გაყრა მოიწადინეს! კეთილი და პატიოსანი! თუმცა, გაყრა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მთელი ბინა დავუტოვოთ! – აცხადებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი მარია ზახაროვა.

პან გოლობოროდკოს ანუ ზელენსკის უდიდეს გამოწვევებთან გამკლავება მოუწევს.

# პოროშენკო პოლიტიკიდან წასვლას არ აპირებს



უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ არჩევნებში დამარცხება აღიარა. ამავე დროს, მან განაცხადა, რომ პოლიტიკიდან წასვლას არ აპირებს:

– განვაგრძობ უკრაინისთვის ბრძოლას! ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რომ ჩვენი შეიარაღებული ძალები კიდევ უფრო გაძლიერდნენ, უკრაინულმა ავტოკეფალურმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ კი პოზიციები განიმტკიცოს, – თქვა პოროშენკომ.

პრეზიდენტმა გამოთქვა მზადყოფნა, რომ ზელენსკის ქვეყნის აღმშენებლობაში დაეხმაროს.

– მზად ვარ, ზელენსკის რჩევით და კონსულტაციებით დავეხმარო, – თქვა მან.

# რომის პაპი მშვიდობისთვის ლოცულობს



რომის პაპმა ფრანცისკმა წმინდა პეტრეს ტაძრის აივნიდან ლოცვა აღავლინა. მან შრი ლანკის მოსახლეობას სოლიდარობა გამოუცხადა:

– ვლოცულობ მშვიდობისთვის შრი ლანკაში, – თქვა პაპმა.

პაპმა სირიისა და სუდანის მოსახლეობაც მოიხსენა. მან აღნიშნა, რომ რეგიონში მშვიდობა უნდა დამყარდეს.

– მე ამისთვის ვლოცულობ, – თქვა პაპმა.

*კალეიდოსკოპი*

# ორ სტუდენტს მწვადების შეწვა მილიონობით ევრო დაუჯდა



იტალიის კომოს პროვინციაში ორ 22 წლის სტუდენტს დაეკისრა მთელი პასუხისმგებლობა ტყის ხანძრის გამო. სწორედ მათ მოუწევთ ბუნებისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

მონტე-ბერლინგერის რაიონში ხანძარი 2018 წლის 30 დეკემბერს გაჩნდა. ის რამდენიმე დღე მძვინვარებდა და დაახლოებით 1000 ჰექტარი ტყე გაანადგურა. სამართალდამცავმა ორგანოებმა დაადგინეს, რომ ტყეში ცეცხლი ტყის სახლიდან გავრცელდა, სადაც ორი ახალგაზრდა ისვენებდა. ხანძრის გაჩენის სავარაუდო მიზეზი გახდა ნაკვერჩხალი, რომელზეც ისინი მწვადებს წვავდნენ.

ორივე სტუდენტი დამნაშავედ ცნეს ხანძრის გაჩენაში. თითოეული მათგანი 13,5 მილიონი ევროთი დაჯარიმდება. მომხდარში დამნაშავედ კიდევ ერთი პიროვნება, ერთ-ერთი სტუდენტის პაპა ცნეს, რომელსაც ეკუთვნოდა სახლი ტყეში.

ერთ-ერთმა სტუდენტმა განაცხადა, რომ ძალიან წუხს მომხდარის გამო, თუმცა თვლის, რომ ცეცხლი ერთბაშად რამდენიმე ადგილიდან გავრცელდა. მისი თქმით, მან და მისმა მეგობარმა დაუყოვნებლივ გამოიძახეს მეხანძრეები, მათ მოსვლამდე კი თავად ცდილობდნენ ცეცხლის ჩაქრობას.

– ჩვენ განტევების ვაცად გვაქციეს იმ ხანძრის გამო, რომლის ახსნაც შეუძლებელია, – განაცხადა სტუდენტმა და იქვე დაამატა, – სინამდვილეში მსხვერპლი ჩვენ ვართ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სუდანის დელეგაცია ვაშინგტონში ჩავა



სუდანის ახალმა სამხედრო ლიდერმა აბდელ ფატაჰ ალ-ბურხანმა განაცხადა, რომ მისი მთავრობის პრიორიტეტი აშშ-სთან ურთიერთობების აღდგენაა.

აშშ-მ სუდანი ტერორიზმის სპონსორ ქვეყნად გამოაცხადა.

– ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ აშშ-მ ტერორიზმის სპონსორად აღარ მიგვიჩნიოს. ჩვენი დელეგაცია აშშ-ში ჩავა, რათა ამერიკელებთან ნორმალური ურთიერთობების დამყარებას მივაღწიოთ, – აცხადებს აბდელ ფატაჰი.

# მოჩვენებებზე ცნობილი მონადირე გარდაიცვალა



აშშ-ში 92 წლის ასაკში პარანორმალური მოვლენების მკვლევარი ლორეინ უორენი გარდაიცვალა. ამის შესახებ ინფორმაცია ფეისბუქში საკუთარ გვერდზე მისმა სიძემ ტონი სპერამ გამოაქვეყნა.

– ის მშვიდად აღესრულა საკუთარ სახლში, ძილის დროს. ლორეინს უამრავ ადამიანთან ჰქონდა შეხება და ბევრს უყვარდა. ის მშვენიერი, კეთილი და მოსიყვარულე სულის პატრონი იყო, – აღნიშნა უორენის სიძემ.

მეუღლე ედთან ერთად, რომელიც 2006 წელს გარდაიცვალა, ლორეინ უორენმა დააარსა მოჩვენებებზე მონადირე ჯგუფი და „უორენების ოკულტური მუზეუმი“. ცოლ-ქმარი მთელ მსოფლიოში მოგზაურობდა და პარანორმალურ და ოკულტურ მოვლენებს სწავლობდა. წერდნენ წიგნებს და აღნიშნულ თემაზე ლექციებს კითხულობდნენ. ბევრმა რეჟისორმა და სცენარისტმა განახორციელა უორენის ნაშრომების ეკრანიზაცია.

# ოპერატორი, რომელმაც ზვიგენს პირში ჩახედა, გადარჩა

მექსიკაში ოპერატორმა მოახერხა დიდი თეთრი ზვიგენის ხახა შიგნიდან გადაეღო. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.



პიტერ კრაგმა მტაცებელი თევზი კუნძულ გუადალუპეს მახლობლად ნავით ცურვის დროს გადაიღო, მატერიკიდან 240 კილომეტრში. ვიდეოკამერა ნავის გვერდით კედელზე იყო გადაკიდებული, როდესაც უზარმაზარი თეთრი ზვიგენი წყლის ზედაპირზე ამოიმართა და მისთვის კბენა სცადა. ვიდეორგოლში მტაცებლის მჭრელი კბილები ჩანს.

კრაგის შეფასებით, ზვიგენის სიგრძე დაახლოებით 4,5 მეტრი იქნებოდა. მისი თქმით, ძალიან გაუმართლა, რომ მტაცებელმა თევზმა მისი კამერა არ გადაყლაპა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**


# განცხადებები

**სხვადასხვა**

● ჯადოს, თვალის, წყევლის, ფინანსური ბლოკების, ჩაკეტილი ბედის დადგენა-მოხსნა, უძლიერესი თილისმები, მათ შორის „ოქროს დაცვა“, ასევე სახლისა და ოფისების ენერგეტიკული გაწმენდა. ტელ: 568-76-26-40.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# დინამომ და ტორპედომ წაიფორხილეს



**ვიტ ჯორჯია-დინამო (თბ) 1:0**

**მცხეთა. მცხეთა პარკი**

1:0 სეხნიაშვილი (53)

**ვიტ ჯორჯია:** შეროზია, გაფრინდაშვილი, ლაცაბიძე, გეთიაშვილი, ჩაკვეტაძე, მოსიაშვილი (ზარიძე 84), ღუდუშაური (ღირდალაძე 72), ვასაძე, მუჯირი (მუსელიანი 56), კაკაშვილი, სეხნიაშვილი

**დინამო:** პერალესი, რუხაია, მეჯუბი, მონხილი, იაშვილი(როხანო 83), ივანისენია (ნინუა 74), პაპავა, შულაია, ზარია (კარბია 46), შენგელია, კუტალია

თბილისის დინამომ 5-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა. საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის მე-9 ტურში დედაქალაქელებმა ვიტ ჯორჯიასთან შეხვედრა მინიმალური ანგარიშით დათმეს.

მატჩის პირველი ნახევარი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, თუმცა გოლის გატანასთან ახლოს უფრო მასპინძლები იყვნენ ახლოს.

ვიტ ჯორჯიამ თავისი შანსი იდეალურად გამოიყენა და ზურაბ სეხნიაშვილმა 53-ე წუთზე შეხვედრის ერთადერთი გოლი გაიტანა.

დინამოელები თამაშის მიწურულს გააქტიურდნენ, მაგრამ მეტოქე თავის დაცვას კარგად ახერხებდა.

**ჩიხურა-ტორპედო 0:0**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, მამასახლისი, მაისაშვილი (კამლაძე 81), კორიფაძე, ჩიკვაიძე, მარკოზიშვილი (მუმლაძე 74), ჩიტეიშვილი, ლექვთაძე (ჩიხლაძე 30), დეკანოიძე, სარდალიშვილი, მახარობლიძე

**ტორპედო:** კვასხვაძე, აზაცკი, ხურცილავა, სტიეპოვიჩი, გეგეჭკორი, გიგაური, ცინცაძე, ნ.ქავთარაძე, ლუკა (ჩაჩუა 85), დოლიძე (თ.კაპანაძე 68), ზივზივაძე

ქულები დაკარგა ქუთაისის ტორპედომაც. კახა ჩხეტიანის გუნდი სტუმრად საჩხერის ჩიხურას დაუპირისპირდა. მატჩი გატანილი გოლების გარეშე დასრულდა. არსებული მომენტების მიუხედავად, როგორც ერთი, ისე მეორე გუნდის მხრიდან, გოლის გატანამდე საქმე არ მივიდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საბურთალო | 9 | 7 | 0 | 2 | 21-12 | 21 |
| 2.დინამო (ბთ) | 9 | 6 | 1 | 2 | 11-6 | 19 |
| 3.ტორპედო | 9 | 5 | 2 | 2 | 11-8 | 17 |
| 4.დინამო (თბ) | 9 | 5 | 1 | 3 | 15-7 | 16 |
| 5.ჩიხურა | 9 | 3 | 5 | 1 | 12-7 | 14 |
| 6.ვიტ ჯორჯია | 9 | 3 | 2 | 4 | 5-8 | 11 |
| 7.სიონი | 9 | 3 | 2 | 4 | 12-18 | 11 |
| 8.დილა | 9 | 2 | 2 | 5 | 7-10 | 8 |
| 9.ლოკომოტივი | 9 | 2 | 0 | 7 | 10-17 | 6 |
| 10.რუსთავი | 9 | 0 | 3 | 6 | 6-17 | 3 |

# ზიზუმ „შავი სია“ შეადგინა



მადრიდის რეალის მთავარი მწვრთნელი ზინედინ ზიდანი ახალი სეზონისთვის ემზადება. ესპანელი ჟურნალისტების ცნობით, ფრანგმა სპეციალისტმა იმ ფეხბურთელების სია შეადგინა, რომელთა სამსახურსაც მომავალ სეზონში აღარ ინდომებს. ზიდანი მათ ღიად არ ასახელებს, თუმცა, „შავი სიის“ შესახებ ინფორმაციას ესპანური მედია ავრცელებს.

დიდი ალბათობით რეალი ნახევარმცველებს: დანიელ სებალიოსს, მარკოს ლორენტესა და ბრაჰიმ დიასს, ასევე თავდამსხმელებს: მარიანო დიასსა და გარეთ ბეილს შეელევა.

შეგახსენებთ, ბეილი რეალში 2013 წლიდან გამოდის, სადაც ტოტენჰემიდან 100 მილიონი ევროს სანაცვლოდ გადავიდა. როგორც ირკვევა, 29 წლის უელსელ გარემარბს ზიდანის სიაში პირველი ადგილი უკავია და ამის შესახებ უკვე თავად ბეილიც ინფორმირებულია. აპრილში უკვე შედგა შეხვედრა მის აგენტსა და კლუბის გენერალურ მენეჯერს შორის, სადაც ითქვა, რომ მომავალ სეზონში ზიზუს გეგმებში ბეილი არ შედის.

მათ გარდა, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ადგილი გარანტირებული არ აქვთ მცველ მარსელოს, ნახევარმცველებს – ტონი კროოსსა და ისკოს. მადრიდის რეალის ხელმძღვანელობაში მათ შესახებ გადაწყვეტილებას იმისდა მიხედვით მიიღებენ, თუ როგორი ვითარება იქნება სატრანსფერო ბაზარზე.

ამ სეზონში მადრიდის რეალმა ჩემპიონთა ლიგასა და ესპანეთის თასზე გამოსვლა უკვე დაასრულა. ზიდანის გუნდი ესპანეთის ჩემპიონატში კი, მადრიდული კლუბი 33 ტურში მოპოვებული 64 ქულით, მესამეა.

# ბათუმი ფინალშია და მეტოქეს ელოდება

**ბათუმი-ხარები 32:10**

დიდი 10-ის მიმდინარე სეზონის ფინალურ მატჩს ბათუმი უმასპინძლებს. ზღვისპირელებმა შესარჩევ ფინალში რუსთავის ხარებს 32:10 მოუგეს, გადამწყვეტი მატჩის საგზური და დებულების თანახმად, მასპინძლობის უფლება მიიღეს.

ეს იქნება პირველი შემთხვევა დიდი 10-ის დაარსებიდან და მეორე საქართველოს ჩემპიონატში, როდესაც გადამწყვეტი შეხვედრა ბათუმში გაიმართება. პირველად ზღვისპირა ქალაქმა ფინალს 17 წლის წინ, 2002 წელს უმასპინძლა და ბათუმის დათვებმა დათვები 2-ის 27:10 დამარცხებით, ჩემპიონის ტიტული მეორედ მოიპოვა და მას შემდეგ ტიტული არ მოუგია.

რეგულარულ გათამაშებაში რუსთავის ხარებმა ბათუმის დამარცხება ორჯერ მოახერხა და ამ თამაშსაც დიდი მოლოდინით შეხვდა, მაგრამ მასპინძლები პრაქტიკულად ყველა კომპონენტში ფლობდნენ უპირატესობას და უმნიშვნელოვანეს მატჩში ღირსეული რევანში აიღეს.

ზღვისპირელებმა შერკინებაში თავიდანვე მოიპოვეს უპირატესობა, მეტოქე დააჯარიმეს და მამუკა ნინიძემ ანგარიში გახსნა. მე-13 წუთზე ნინიძემ გუნდისა და პირადი მონაგარი 10 ქულამდე გაზარდა. ხანგრძლივი, მრავალფაზიანი შეტევის შემდეგ, სანდრო თოდუამ მოშიშვლებული ზურგი შენიშნა, ბურთი ლელოში ფეხით შეაცურა და მას ნინიძე მიყვა, რომელმაც საკუთარი ლელო თავადვე გარდასახა.

ხარებმა ტაიმის შუაში უპასუხა. სტუმრებმა ორჯერ არ დაარტყეს ჯარიმა კარში, მეორე ჯერზე დერეფნიდან კარგი მოლი დააყენეს და ირაკლი ნატრიაშვილმა სხვაობა 5 ქულამდე დაიყვანა. 27-ე წუთზე ლაშა ხმალაძემ ითამაშა შესანიშნავად, ერთ შეტევაში, მეტოქის 22-ში ხაზი ორჯერ გაჭრა, პირველ ჯერზე ბურთი ვანო ფუტკარაძეს გაატანა, მეორეჯერ სანდრო ქოიავას და მანაც ლელო გაიტანა. ორიოდე წუთში ზურაბ თუთბერიძემ გაიბრწყინა, ფეხით გადაკიდებული ბურთი თავის ნახევარზე, 10-მეტრიან წყვეტილთან მოხსნა, ხაზი სუფთად გაჭრა და ლელომდე 60 მეტრი ირბინა, ხოლო ნინიძემ გარდასახვა გაიტანა – 22:5.

მეორე ტაიმის დასაწყისში რუსთაველებმა ნაცადი ხერხით, მოლით ლელოში შეღწევა მოახერხეს, მაგრამ ბურთს მცველი ჩაუწვა. ანგარიში 57-ე წუთზე შეიცვალა და ამჯერადაც ბათუმელთა სასარგებლოდ, ნინიძემ ჯარიმა გაიტანა. ტაიმის შუაში ვაჟა ხუციშვილმა ისარგებლა მცველების დაუდევრობით და რაქიდან ხაზი გაჭრა, მას კარგად მიყვნენ ბექა მამრიკიშვილი და ხმალაძე, რომლის ოფლოუდის შემდეგ ბურთი ანზორ სიჭინავას მიუვიდა, 2 მცველს შემოურბინა და ლელო გაიტანა. ნინიძემ ესეც გარდასახა.



ხარების 9 ნომერმა კობა ბუჯიაშვილმა მალევე უპასუხა, ჯარიმის სწრაფად გათამაშების შემდეგ, მცველების ინერტულობით ისარგებლა, ხაზი გაჭრა და ლელომდე 40 მეტრი ირბინა. მაგრამ ამის შემდეგ ანგარიში აღარ შეცვლილა და ბათუმმა 32:10 მოგებით ფინალში თამაში დაიბევა, ხოლო მცირე ფინალში ითამაშებს და გადამწყვეტ მატჩში ბათუმთან შეხვედრის შანსი კიდევ ექნება.

**ლოკომოტივი-არმაზი 20:21**

მარნეულის არმაზმა გასული სეზონის ჩემპიონ თბილისის ლოკომოტივს დაძაბულ მატჩში 21:20 სძლია და საჩემპიონო რბოლას გამოთიშა, თავად კი ისტორიული შედეგი უკვე დაიბევა და მისი გაუმჯობესებისკენ სვლას აგრძელებს.

შიდა ჩემპიონატში არმაზს აქამდე მედლების ზონაში არასდროს შეუღწევია. მისი საუკეთესო შედეგი 2013 წელს, მეოთხე ადგილი იყო და ახლა მინიმუმ ბრინჯაოს მედლები უკვე დაბევებული აქვს და წინსვლის შანსს ინარჩუნებს.

2018-19 წლების დიდი 10-ის პლეი ოფის მეორე ეტაპზე, გასავარდნ ფინალში, ლოკომოტივმა მეტოქეს 3 ლელო გაუტანა და თავად მხოლოდ 2 გაუშვა, მაგრამ შემდეგ ეტაპზე გასასვლელად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

თამაში თავიდანვე დაძაბულად დაიწყო. ორივე გუნდი მაქსიმალური მობილიზებით თამაშობდა, თუმცა ამინდისა და ზედმეტი ნერვიულობის ფონზე, შეცდომებიც მოსდიოდათ. ანგარიში ტაიმის შუაში გაიხსნა, როდესაც ლოკომოტივმა დერეფნიდან მოლი დააყენა და გაგა არაბულმა ლელო გაიტანა. გარდასახვა არაზუსტი იყო, 26-ე წუთზე რეზი ჯინჭველაშვილმა მეტოქეს ჯარიმით უპასუხა, თუმცა ტაიმის ბოლოს კიდევ ერთი ლელო გაუშვა. ზურაბ ძნელაძემ თავის ნახევარზე, რაქიდან მოკლე ფრთაზე შეუტია და ბურთი იოანე ხელაიას გააყოლა, რომელიც 22-მეტრიანთან შებოჭეს, ფეხით გადაკიდებული ბურთი კი, ლუკა დვალიშვილმა თავის ლელოში იძულებით დაამიწა. აწ უკვე ექს-ჩემპიონმა 5-მეტრიანი შერკინებიდან შეუტია, ფორვარდების რამდენიმე დარტყმის შემდეგ კი, გრძელი პასით ხელაიამ ლელო ალამთან გაიტანა. გარდასახვა ამჯერადაც არაზუსტი იყო, ტაიმის ბოლოს ჯინჭველაშვილმა კიდევ ერთი ჯარიმა გაიტანა და ტაიმი ლოკომოტივის გამარჯვებით დასრულდა – 10:6.

მეორე ტაიმის დასაწყისში წიკლაურმა ჯარიმით უპირატესობა გაზარდა, რაზეც 56-ზე ჯინჭველაშვილმა ასევე ჯარიმით უპასუხა. 67-ე წუთზე მარცხენა ფრთაზე ნიკა გიგაურმა მბოჭავი კონტაქტით მოიშორა და სიჩქარე აკრიფა, მცველი აიყვანა და ბურთი გიორგი ჭედიას გაატანა, რომელმაც გიორგი კვესელაძეს პასი არ დაუგვიანა და მანაც ლელოთი არმაზი დააწინაურა. ჯინჭველაშვილს გასატანი პოზიციიდან გარდასახვა გაუცუდდა.

ლოკომოტივი გააქტიურდა, ტემპს უმატა და ხელდახელ შეტევით მესამე ლელო გაიტანა. რამდენიმე პასის შემდეგ ფრთაზე გიორგი შკინინი გაიქცა, რომლის ოფლოუდი ლელოთი წიკლაურმა დაასრულა და თავადვე გარდასახა. გავიდა რამდენიმე წუთი და უკვე არმაზმა გაშალა შეტევა, მარცხენა ფრთაზე უპირატესობა მოიპოვა და გიგაურმა ლელო ამჯერად თავად გაიტანა, ჯინჭველაშვილმა რთული პოზიციიდან გარდასახა და არმაზს 21:20 მოაგებინა.

მარნეულელები მცირე ფინალში რუსთავში ადგილობრივ ხარებს ეთამაშებიან. ამ წყვილის გამარჯვებული დიდ ფინალში ბათუმს ეწვევა, ხოლო დამარცხებული ბრინჯაოს მედლებს დასჯერდება.

# ჰოკეისტებმა ბ დივიზიონი მარცხით დაიწყეს



მექსიკაში მსოფლიოს ჩემპიონატის ბ დივიზიონის ტურნირია, რომელშიც საქართველოს ჰოკეის ნაკრებიც მონაწილეობს.

ჩვენები ბ დივიზიონში გასულ წელს აღზევდნენ და ადგილის შენარჩუნებას ეცდებიან. სამწუხაროდ, ქართველები პირველ მატჩში ჩრდილოეთ კორეის ნაკრებთან 4:9 დამარცხდა.

არადა, თავდაპირველად საქართველოს ნაკრები არტიომ კოზიულინის გოლით დაწინაურდა, შემდეგ კორეელებმა იძალეს და 2:1 დაწინაურდნენ. თუმცა, ალექსანდრე ვასილჩენკომ პირველი პერიოდის ბოლოს ანგარიში გაათანაბრა – 2:2.

მე-2 პერიოდის დასაწყისში ბორის კოჩკინმა და სემიონ ხარიზოვმა ისევ წინ გაიყვანეს რამაზ სვანიძის გუნდი – 4:2. თუმცა, ამის შემდეგ მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი იყო და ეს კორეის ნაკრები აღმოჩნდა. საბოლოოდ, აზიელებმა დიდი ანგარიშით მოიგეს.

როლანდ სვანიძის გუნდი მომდევნო მატჩს მასპინძელ მექსიკასთან გამართავს, შემდეგ ახალი ზელანდიის ნაკრებს შეხვდება, მეოთხე ტურში ისლანდიას დაუპირისპირდება, ხოლო დასკვნით მატჩს ისრაელის ნაკრებთან გამართავს.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# შედეგები

## 21 აპრილი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ევერტონი-მანჩესტერი .................. 4:0
არსენალი-კრ.პალასი .................... 2:3
კარდიფი-ლივერპული .................... 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 35 | 27 | 7 | 1 | 79-20 | 88 |
| 2.სიტი | 34 | 28 | 2 | 4 | 87-22 | 86 |
| 3.ტოტენჰემი | 34 | 22 | 1 | 11 | 64-35 | 67 |
| 4.არსენალი | 34 | 20 | 6 | 8 | 68-43 | 66 |
| 5.ჩელსი | 34 | 20 | 6 | 8 | 57-36 | 66 |
| 6.მანჩესტერი | 34 | 19 | 7 | 8 | 63-48 | 64 |
| 7.ევერტონი | 35 | 14 | 7 | 14 | 50-44 | 49 |
| 8.უოტფორდი | 34 | 14 | 7 | 13 | 49-49 | 49 |
| 9.ლესტერი | 35 | 14 | 6 | 15 | 48-47 | 48 |
| 10.ვულვზი | 34 | 13 | 9 | 12 | 41-42 | 48 |
| 11.ვესტ ჰემი | 35 | 12 | 7 | 16 | 44-54 | 43 |
| 12.კრ.პალასი | 35 | 12 | 6 | 17 | 43-48 | 42 |
| 13.ნიუკასლი | 35 | 11 | 8 | 16 | 35-44 | 41 |
| 14.ბორნმუთი | 35 | 12 | 5 | 18 | 49-62 | 41 |
| 15.ბარნლი | 34 | 11 | 6 | 17 | 42-60 | 39 |
| 16.საუთჰემპტონი | 34 | 9 | 9 | 16 | 40-57 | 36 |
| 17.ბრაიტონი | 34 | 9 | 7 | 18 | 32-53 | 34 |
| 18.კარდიფი | 35 | 9 | 4 | 23 | 30-65 | 31 |
| 19.ფულემი | 35 | 6 | 5 | 24 | 33-76 | 23 |
| 20.ჰადერსფილდი | 35 | 3 | 5 | 27 | 20-69 | 14 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ლევანტე-ესპანიოლი ..................... 2:2
ხეტაფე-სევილია ......................... 3:0
რეალი-ბილბაო ........................... 3:0
ვილიარეალი-ლეგანესი .................. 2:1
ბეტისი-ვალენსია ........................ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 33 | 23 | 8 | 2 | 83-32 | 77 |
| 2.ატლეტიკო | 33 | 20 | 8 | 5 | 48-21 | 68 |
| 3.რეალი | 33 | 20 | 4 | 9 | 58-38 | 64 |
| 4ხეტაფე | 33 | 14 | 12 | 7 | 43-29 | 54 |
| 5.სევილია | 33 | 15 | 7 | 11 | 54-42 | 52 |
| 6.ვალენსია | 33 | 12 | 16 | 5 | 38-27 | 52 |
| 7.ბილბაო | 33 | 11 | 13 | 9 | 36-39 | 46 |
| 8.ალავესი | 33 | 12 | 10 | 11 | 35-42 | 46 |
| 9.ბეტისი | 33 | 12 | 7 | 14 | 38-45 | 43 |
| 10.ესპანიოლი | 33 | 11 | 9 | 13 | 39-48 | 42 |
| 11.სოსიედადი | 33 | 10 | 11 | 12 | 39-41 | 41 |
| 12.ლეგანესი | 33 | 10 | 11 | 12 | 33-38 | 41 |
| 13.ეიბარი | 33 | 9 | 13 | 11 | 42-45 | 40 |
| 14.ვილიარეალი | 33 | 8 | 12 | 13 | 42-46 | 36 |
| 15.სელტა | 33 | 9 | 8 | 16 | 47-56 | 35 |
| 16.ხირონა | 33 | 8 | 10 | 15 | 34-46 | 34 |
| 17.ლევანტე | 33 | 8 | 10 | 15 | 47-61 | 34 |
| 18.ვალიადოლიდი | 33 | 7 | 11 | 15 | 28-47 | 32 |
| 19.რაიო | 33 | 7 | 7 | 19 | 36-57 | 28 |
| 20.უესკა | 33 | 5 | 11 | 17 | 35-55 | 26 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ფრაიბურგი-დორტმუნდი ............. 0:4
ჰერტა-ჰანოვერი .......................... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 30 | 22 | 4 | 4 | 79-29 | 70 |
| 2.დორტმუნდი | 30 | 21 | 6 | 3 | 72-36 | 69 |
| 3.ლაიფციგი | 30 | 18 | 7 | 5 | 57-23 | 61 |
| 4.აინტრახტი | 29 | 15 | 7 | 7 | 57-34 | 52 |
| 5.გლადბახი | 30 | 15 | 6 | 9 | 49-37 | 51 |
| 6.ჰოფენჰაიმი | 30 | 13 | 11 | 6 | 65-41 | 50 |
| 7.ლევერკუზენი | 30 | 15 | 3 | 12 | 53-48 | 48 |
| 8.ვერდერი | 30 | 12 | 10 | 8 | 52-42 | 46 |
| 9.ვოლფსბურგი | 29 | 13 | 6 | 10 | 47-44 | 45 |
| 10.ფორტუნა | 30 | 11 | 4 | 15 | 40-59 | 37 |
| 11.ჰერტა | 30 | 9 | 9 | 12 | 41-48 | 36 |
| 12.მაინცი | 30 | 10 | 6 | 14 | 37-51 | 36 |
| 13.ფრაიბურგი | 30 | 7 | 11 | 12 | 39-54 | 32 |
| 14.აუგსბურგი | 30 | 8 | 7 | 15 | 46-55 | 31 |
| 15.შალკე | 30 | 7 | 6 | 17 | 32-52 | 27 |
| 16.შტუტგარტი | 30 | 5 | 6 | 19 | 27-67 | 21 |
| 17.ნიურნბერგი | 30 | 3 | 9 | 18 | 24-56 | 18 |
| 18.ჰანოვერი | 30 | 3 | 6 | 21 | 25-66 | 15 |

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ნანტი-ამიენი ................................ 3:2
ტულუზა-ლილი .............................. 0:0
რეიმსი-სტ.ეტიენი ......................... 0:2
პსჟ-მონაკო .................................. 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 33 | 27 | 3 | 3 | 95-27 | 84 |
| 2.ლილი | 33 | 19 | 8 | 6 | 54-28 | 65 |
| 3.ლიონი | 33 | 17 | 8 | 8 | 55-41 | 59 |
| 4.სტ.ეტიენი | 33 | 16 | 8 | 9 | 50-37 | 56 |
| 5.მარსელი | 33 | 16 | 6 | 11 | 52-44 | 54 |
| 6.მონპელიე | 33 | 13 | 12 | 8 | 47-37 | 51 |
| 7.ნიცა | 33 | 13 | 9 | 11 | 23-30 | 48 |
| 8.რეიმსი | 33 | 11 | 15 | 7 | 32-34 | 48 |
| 9.ნიმი | 33 | 13 | 7 | 13 | 49-48 | 46 |
| 10.სტრასბური | 33 | 10 | 14 | 9 | 55-43 | 44 |
| 11.რენი | 33 | 11 | 10 | 12 | 45-46 | 43 |
| 12.ანჟე | 33 | 9 | 14 | 10 | 40-40 | 41 |
| 13.ნანტი | 33 | 11 | 7 | 15 | 41-44 | 40 |
| 14.ბორდო | 33 | 9 | 11 | 13 | 31-36 | 38 |
| 15.ტულუზა | 33 | 8 | 12 | 13 | 30-46 | 36 |
| 16.ამიენი | 33 | 8 | 8 | 17 | 28-48 | 32 |
| 17.მონაკო | 33 | 7 | 11 | 15 | 32-49 | 32 |
| 18.დიჟონი | 33 | 7 | 7 | 19 | 27-50 | 28 |
| 19.კაენი | 33 | 5 | 11 | 17 | 25-47 | 26 |
| 20.გენგამი | 33 | 5 | 9 | 19 | 24-60 | 24 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# სოლსკიაერი: „დღეს მანჩესტერის მაისურის ტარების უფლება მხოლოდ ქომაგებს აქვთ“



ხომ არ იჩქარა მანჩესტერ იუნაიტედმა ოლე გუნარ სოლსკიაერის მთავარ მწვრთნელად დანიშვნა? მას შემდეგ მანჩესტერელებმა ზედიზედ 3 მატჩი წააგეს. მათ შორის ბოლო ევერტონთან – 0:4, რაც სრული კოშმარი იყო.

თუმცა, ასე არ ფიქრობს თავად ნორვეგიელი, რომლის განცხადებით, მისმა ბიჭებმა დროულად უნდა დაივიწყონ ევერტონთან მარცხი და სიტისა და ჩელსისთან გასამართ მატჩზე კონცენტრირდნენ.

**ოლე გუნარ სოლსკიაერი:**

– ოთხშაბათს სიტი „ოლდ ტრაფორდზე“, სახლში, ჩვენი ფანტასტიკური გულშემატკივრების თვალწინ უნდა მივიღოთ და ეს ყველაზე დიდი გამოწვევაა. ახლა მოკლე მიზნებისთვის ჩვენ სიტისა და ჩელსისთვის უნდა ვკონცენტრირდეთ. თუ ამ მატჩებს მოვიგებთ, შანსები კიდევ გვაქვს. 12 ქულის მოპოვება შეგვიძლია. მარტივი არც ჩვენთვისაა ასე უბრალოდ მომავალ მატჩზე კონცენტრირება, მაგრამ ამ მარცხს ჩვენი დაცემის უფლებას ვერ მივცემთ. გრძელვადიან პერიოდში, აუცილებლად ვიფიქრებთ ამ ყველაფერზე.

***– რა იყო ევერტონთან ასეთი გამანადგურებელი მარცხის მიზეზი?***

– ფიზიკური მომზადების თვალსაზრისით, ჩვენ კარგთან მიახლოებულიც არ ვართ. ერთი სული მაქვს, როდის დაიწყება წინასასეზონო სამზადისი. ჩვენ ძალიან კარგად ვიმოქმედეთ, კარგად ვიმუშავეთ და სწორედ ამიტომ მოვედით იქ, სადაც ვართ. ფეხბურთის მოსაგებად მხოლოდ ნიჭი არ არის საკმარისი, ფიზიკური მომზადებაც გჭირდება, რაზეც ძალიან ბევრი უნდა იმუშაო.

ეს ადრეც ვთქვი და ახლაც აღვნიშნავ, რომ მსურს, ჩემი გუნდი ყველაზე მშრომელი გუნდი იყოს ლიგაში, სწორედ ისე, როგორც სერ ალექსის დროს იყო. ასეთები ვიყავით მუდამ. ჩვენ გვყავდა გიგზი, ბექსი, გარი ნევილი, ირვინი, ყველა... მაგრამ არ აქვს მნიშვნელობა, თუ როგორ ნიჭს ფლობ, მაინც ყველაზე მეტი უნდა იმუშაო. ყოველ კვირას უნდა იბრძოლო, იშრომო, სანამ იმ ფორმაში არ ჩადგები, რომელშიც უნდა იყო.

***– როგორ ფიქრობთ, სეზონის ჩაგდება გულშემატკივრებს ესიამოვნებათ?***

– ევერტონთან სასტვენის ჩასტვენის მომენტიდან ყველაფერი არასწორად წავიდა. ბოდიში მინდა მოვუხადო გულშემატკივრებს. დღეს ისინი ერთადერთი არიან, რომლების მაისურსაც მანჩესტერ იუნაიტედის ლოგო ამშვენებს და მაინც შეუძლიათ, რომ ამაყი იყვნენ, რადგანაც ჩვენ ამის უფლება არ გვაქვს, ჩვენ თავაწეულები ვერ ვიქნებით.

***– რა არის უმთავრესი მიზანი უახლოეს პერიოდში?***

– ჩვენ, როგორც გუნდი, უნდა გავერთიანდეთ. მთლიან შემადგენლობას ვერ შევცვლით. ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ვიაროთ. ყოველთვის ვამბობდი და კიდევ ვიტყვი, რომ აქ წარმატებული ვიქნები. არსებობენ ფეხბურთელები, რომლებიც ამ წარმატებული გუნდის ნაწილი ვერ იქნებიან, მაგრამ არსებობენ ისეთებიც, ვინც იქნებიან. როცა მოვედი, ჩვენ ევერტონს მხოლოდ 2 ქულით ვუსწრებდით. არანაირ ილუზიებში არ ვიყავი და არ ვფიქრობდი, რომ ან ლიგის მოგებას შევძლებდით, ან სამეულისთვის ასე ვიბრძოლებდით. თუ ცხრილს შეხედავთ, დაინახავთ, რომ იგივე ადგილზე ვართ, მაგრამ ქულათა სხვაობა საგძნობლად შემცირდა. რაც შეეხებათ ფეხბურთელებს, მათ უნდა იცოდნენ, თუ ამ კლუბში თამაში სურთ, ყველაფერი უნდა გაიღონ, რადგან იუნაიტედის მაისურით თამაში საერთოდ ყველაფერს ნიშნავს. ეს მათ უნდა იგრძნონ, ისევე, როგორც გრძნობენ ჩვენი გუშემატკივრები, ხალხი, რომლებიც 90 წუთის განმავლობაში არ გაჩერებულა, არც თამაშის შემდეგ შეუწყვეტიათ სიმღერა. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ისინი დაუჯერებლები არიან.

***– იგრძენით საკმარისი ტკივილი ფეხბურთელებისგან?***

– არ ვიცი. ეს მათ უნდა ჰკითხოთ, მე უკვე ვკითხე. ჩემგან ამაზე პასუხს ვერ მიიღებთ. რა თქმა უნდა, თუ ამ კლუბში თამაშობ, წაგება უბრალოდ წაგება არ არის და ყველაფერი გაცილებით უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ჩვეულებრივი ემოციებია.

კალეიდოსკოპი

# გოგონამ გადაწყვიტა, თავის პარალიზებულ შეყვარებულს მაინც გაჰყვეს ცოლად



ჩინელმა გოგონამ საქორწინო ფოტოსესია გამართა თავის პარალიზებულ შეყვარებულთან და მასთან დასაქორწინებლად ემზადება.

ჩინეთის პროვინცია ცზიანსუს მცხოვრებმა 32 წლის ჩჟან ცზიუანმა ცაო სხუანსხუანისთვის საჩუქრის სახით ფოტოსესია მოაწყო. მამაკაცი 2015 წელს დენის დარტყმის შედეგად იქცა ინვალიდად. მას შემდეგ ის ვერ ახერხებს ლაპარაკს. მას მთელი სხეული პარალიზებული აქვს და მხოლოდ თვალებს ამოძრავებს. აღნიშნული შემთხვევა წყვილის დაგეგმილ ნიშნობამდე ერთი თვით ადრე მოხდა.

ახლა ცზიუანი მთელ თავის დროს 11 წლის გოგონას, 10 წლის ბიჭის და მათი პარალიზებული მამის მოვლას ახმარს.

– მნიშვნელობა არ აქვს, როგორ მდგომარეობაში იმყოფება, ის მე მიყვარს როგორც პიროვნება, – აცხადებს ცზიუანი, – მე მას მაინც გავყვები ცოლად.

ქალი ყოველდღე დილის 6:30 საათზე დგება, სხუანსხუანისთვის სადილს ამზადებს, აჭმევს, ბანს, ტუალეტში მიჰყავს, უმუშავებს მომჩვარულ კუნთებს და რეგულარულად ატრიალებს ერთი გვერდიდან მეორეზე, მისთვის მასაჟის გასაკეთებლად.

გარდა ამისა, ქალი ზრდის შვილებს, სახლს ალაგებს და უვლის ფერმას. მისივე აღიარებით, ეს ყოველივე მას უკვე ჩვევად ექცა. მას მეუღლის მოვლაზე დიდი ფული ეხარჯება, ამიტომ იძულებული ხდება, ფული ისესხოს მშობლებისა და მეგობრებისგან და მისმა ვალმა უკვე 700 ათას იუანს მიაღწია. ცზიუანი მაინც პოულობს ფულის გამომუშავების საშუალებას. მას ტრანსლაციები მიჰყავს ჩინეთში პოპულარულ პლატფორმაზე. ქალის და მისი შეყვარებული მამაკაცის ფოტოსესიის სპონსორები ინტერნეტ-მომხმარებლები გახდნენ. ისინი ასევე აპირებენ ცზიუანის და სხუანსხუანის ქორწილის ცერემონიის დაფინანსებასაც.

# ჩინელმა პოლიციელებზე სიმღერის დაწერის შემდეგ თავი ციხეში ამოყო



ჩინეთში უბრალო მუშამ სიმღერა დაწერე პოლიციელების თავხედობაზე, რის შემდეგაც ორი კვირა ციხეში გაატარა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ხუან მინი აპრილის დასაწყისში გუანდუნის პროვინციის ქალაქ ხიუნანის ერთ-ერთი ფაბრიკის საერთო საცხოვრებელში დააპატიმრეს. მას ბრალი წაუყენეს ორი წლის წინ დაწერილი სიმღერის ტექსტისთვის, რომელშიც საუბარი იყო იმაზე, თუ როგორ სცემეს სამართალდამცავებმა მამაკაცს და შემდეგ ის სოციალურ ქსელში განათავსეს.

იუნინანის პროვინციის ქალაქ ჩჟენსიუნის მკვიდრი ხუანი სიმღერაში ყვება, თუ როგორ გაიარა მოტოციკლით ახალგაზრდა მამაკაცმა ახლახან დახაზულ გზაზე და ამის შედეგად საღებავი გზაზე გაიდღაბნა, რითიც პოლიციელები განარისხა. მოტოციკლისტს ერთბაშად ათმა ადამიანმა სცემა, მას ნეკნები ჩაუმტვრიეს. სიმღერა რეალურ მოვლენებზეა დაწერილი, რომელიც ჩჟენსიუნში 2017 წელს მოხდა.

სიმღერის ავტორი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში დაადანაშაულეს და ორი კვირით საპატიმროში გამოკეტეს. მამაკაცის თქმით, ის საკუთარ საქციელს არ ნანობს.

აღსანიშნავია, რომ სიმღერის გმირის მცემელი პოლიციელები დასაჯეს, ხოლო თავად დაზარალებულს კომპენსაციის სახით 450 ათასი იუანი გადაუხადეს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

კალეიდოსკოპი

# განძის მაძიებლებმა განძს მიაგნეს



დიდ ბრიტანეთში ოთხმა განძის მაძიებელმა 557 უძველეს მონეტას მიაგნეს, რომელთა ფასი 150 ათასი ფუნტი სტერლინგია.

ენდრიუ ვინტერი, ტობიას ნოვაკი და მისი ძმა მატეუში ინგლისის ბაკინჰემშირის საგრაფოს სოფელ ჰამბლდენის მახლობლად ლითონის მაძიებლით გადაადგილდებოდნენ. იქ სპეციალური ფესტივალი იყო ორგანიზებული განძის ძებნის მოყვარულებისთვის. განძის ერთი საათის განმავლობაში უშედეგო ძებნის შემდეგ, ისინი უკვე საქმისთვის თავის დანებებას აპირებდნენ, როდესაც მოწყობილობამ აჩვენა, რომ მიწის ქვეშ რაღაც ვერცხლის ნაკეთობა იდო. მათ მიწის თხრა დაიწყეს და აღმოაჩინეს XIV საუკუნის ედვარდ II-ს დროინდელი მონეტები.

ოდნავ მოგვიანებით მათ შეუერთდათ ფესტივალის კიდევ ერთი მონაწილე დარიუშ ფიალკოვსკი. პირველ დღეს ოთხეულმა 285 ვერცხლის და ოქროს მონეტა იპოვეს, სამი დღის შემდეგ კი მათმა რაოდენობამ 557-ს მიაღწია. ღონისძიების წესების თანახმად, ოთხი ნაპოვნი მონეტა უკვე განძს წარმოადგენს და მისმა მპოვნელებმა ამის თაობაზე ორგანიზატორებს უნდა აცნობონ.

ნაპოვნ მონეტებს სოფლის პატივსაცემად ჰამბლდენის განზი უწოდეს. მონეტების გაყიდვიდან შემოსულ თანხას განძის მაძიებლები მიწის მფლობელს გაუყოფენ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ასტროპროგნოზი

## 23 აპრილისთვის



**ვერძი** – შესაფერისი დღეა გარემოს შესაცვლელად. კარგი იქნება სამოგზაუროდ წასვლა, ქალაქგარეთ გასეირნება. **კურო** – წინდახედულობა და შორსმჭვრეტელობა უსიამოვნებას თავიდან აგარიდებთ. ახალი ინფორმაცია გაგახარებთ. **ტყუპები** – იყავით გულმოწყალე. დახმარებაზე უარს ნურავის ეტყვით. **კირჩხიბი** – დაღლილი და გაღიზიანებული ხართ. ემოციები მაქსიმალურად მართეთ. დახმარებისათვის მეგობრებს მიმართეთ. **ლომი** – პრობლემების გადაწყვეტა, ახალი საქმის დაწყება თქვენგან დიდ ძალასა და მოთმინებას მოითხოვს. არ ეჩხუბოთ ნათესავებს. **ქალწული** – გარშემომყოფებთან უთანხმოება გაქვთ. სანამ რამეს მოიმოქმედებთ, კარგად დაფიქრდით. **სასწორი** – არაკეთილისმყოფელი დღეა. საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობაში ბზარი ჩნდება. **ღრიანკალი** – დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გიმწვავდებათ. რეპუტაციას გაუფრთხილდით. **მშვილდოსანი** – ნებისმიერ სიტუაციაში დაფიქრება და აუჩქარებლობა გმართებთ. ინტუიციას ნუ მიენდობით. **თხის რქა** – თქვენთვის დამახასიათებელი თავშეკავება დღეს აუცილებლად უნდა გამოიჩინოთ. კრიტიკულ შენიშვნებზე მწვავე რეაგირება საჭირო არ არის. **მერწყული** – საკუთარ პრინციპებს ნუ უღალატებთ. ფინანსებს მაქსიმალურად გაუფრთხილდით. **თევზები** – შინაგანი წონასწორობა შეინარჩუნეთ. მიზანს მხოლოდ შეუპოვრობისა და პრინციპულობის წყალობით მიაღწევთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი 8



**შვეულად:** 1. ჰავაის კუნძულების ადმინისტრაციული ცენტრი; 2. ბუღალტერიაში სხვაობა შემოსავალისა და გასავალის ჯამებს შორის; 3. ევერესტის დამლაშქრავი ქართველი ალპინისტი; 4. გაეროს ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 7. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 9. ბელგიის ნაკრებისა და „ჩელსის“ ფეხბურთელი; 12. ნივთიერება, რომელსაც გამოიმუშავებს თირკმელზედა ჯირკვალი; 14. მასწავლებელი, დამრიგებელი იაპონიაში; 15. იმერეთში გავრცელებული შავყურძნიანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 17. დედამიწის ჩრდილო პოლარული ზონა; 20. ავადმყოფური გამონაზარდი ხის ღეროზე, კორძი.

**თარაზულად:** 5. უმაღლესი მწვერვალი ალპებში; 6. ცეცხლსასროლი იარაღის გერმანელი კონსტრუქტორი ძმების გვარი; 8. ეგეოსის ზღვისპირა კურორტი თურქეთში; 10. სტაფილოს ნაყოფში არსებული მოყვითალო ფერის პიგმენტი; 11. აეროპორტი ქაიროში; 13. ხეივნიანი, ფართო ქუჩის, პროსპექტის სახელწოდება სამხრეთ ამერიკაში; 16. ფუტკრის სკის შავი ფისი; 18. წვრილი ხმა მრავალხმიან სიმღერაში; 19. პოპულარული ტანსაცმელი; 21. ტერიტორიული ერთეული რუმინეთში; 22. უბანი თბილისში; 23. მარტის თვის ქართული სახელწოდება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

# წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 3. პარაბოლა; 8. მაკეტი; 9. კლისტრონი; 11. ასმერა; 12. კარეტა; 14. ნაიადა; 15. რარიტეტი; 20. სოფელი; 22. პიკნიკი; 23. მერი; 24. ინტერიმი; 25. სუმო; 26. არგონი; 27. პინია.

**შვეულად:** 1. კარტი; 2. ფლეიტა; 4. ბუკლეტი; 5. ტაროსი; 6. ქარავანი; 7. მიგრანტი; 10. კრედო; 12. კლიროსი; 13. კრიზისი; 16. ლივრეა; 17. ანშლაგი; 18. ბიზონი; 19. ნეგუსი; 21. ფანტა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ალი; 2. მაგელანი; 3. მარტი; 4. ხალტურა; 5. პატრიოტი; 6. მისური; 7. გესტაპო; 8. აპოხტი; 9. რეალია; 10. კაა; 11. ლამარია; 12. ნოვატორი; 13. პაიკი; 14. ახო; 15. ურო; 16. ნავთი; 17. სამბა; 18. პიიო; 19. იიპე; 20. ტარტუ; 21. კალაპოტი; 22. ვონა; 23. კოტრი; 24. კანოე; 25. მერია; 26. მერიმე; 27. სამორინე; 28. რემიზი; 29. არზამასი; 30. მერაბ; 31. ნასა; 32. არფა; 33. ია; 34. ომარი.

**სურათებზე:** მენდი მური; ალმეიდა.

# მერაბ ნინიძე და ბენედიქტ კამბერბეჩი ფილმში ერთად თამაშობენ



ქართველი მსახიობი მერაბ ნინიძე და „შერლოკისა“ და „იმიტაციის თამაშის“ ვარსკვლავი ბენედიქტ კამბერბეჩი ფილმში ერთად თამაშობენ.

ფილმს დომენიკ კუკი იღებს და ის ბრიტანელი შპიონის გრევილ უინის ისტორიაზეა დაფუძნებული. ბრიტანელი შპიონის როლს ფილმში ბენედიქტ კამბერბეჩი თამაშობს.

ფილმი ცივი ომის პერიოდს ეხება, რომელშიც ჯაშუში გრევილ უეინი რუს აგენტთან ერთად კუბის სარაკეტო კრიზისის დასრულებას ცდილობს.

რეჟისორ დომენიკ კუკი თავის ახალ ფილმს მაყურებელს წელს შესთავაზებს.

# ვაკაჭი: „ახლიდან დაიწყება ახალი რევოლუცია, რაც მართლა არ მინდა!“

მსახიობი და ტელეწამყვანი ვახტანგ ხიდაშელი, იგივე ვაკაჭი ქვეყანაში ახალ რევოლუციას აანონსებს, რაც თვითონ ნამდვილად არ უნდა:

– პირველად ვამბობ ამას! მართლა ამოვიდა ყელში რა. ესენი ვინ არიან, სად გაიზარდნენ, რა მორალით, ვინ ჰყავდათ მშობლები, ან ახლა როგორ ეფერებიან თავიანთ შვილებს და რანაირად კაცობენ, ან ცხოვრობენ. ყველა გამოვა მალე და ისევ ახლიდან დაიწყება ახალი რევოლუცია, რაც მართლა არ მინდა! ადამიანებს აიძულებენ თავი დაიცვან და მერე აპატიმრებენ? ვერ გავიგე, არ მესმის. არც არასოდეს მესმოდა ასეთი ხალხის, მაგრად ნერვები მეშლება, დავიღალე, 46 წლის ვარ და სულ რევოლუციებსა და უსამართლობაში გავატარე ცხოვრება. დაგეცით დესანტად!

# სამგლოვიარო განცხადებები



გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი, სახელგანთქმული ფიზიკოსი, ფიზიკისა და ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შ. რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის ემერიტუსი პროფესორი, ღირსების ორდენის კავალერი, ბატონი

## ჯემალ ბერიძე

ბატონი ჯემალ ბერიძე 90 წლის ასაკში, მისსავე დაბადების დღეს გარდაიცვალა.

ბატონმა ჯ. ბერიძემ მთელი თავისი ყოფიერება და შემოქმედება ფიზიკის მეცნიერებას მიუძღვნა: მან მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. უნივერსიტეტში (1962 და 1986 წლებში) დაიცვა ორი დისერტაცია და თავისი აღმოჩენებით განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ფიზიკის მეცნიერების თანამედროვე ეტაპზე განვითარების საქმეში.

ნობელის პრემიის ლაურეატმა, თეორიული ფიზიკის „მამად“ აღიარებულმა ლევ ლანდაუმ, ჯერ კიდევ 1962 წელს, მ. ლომონოსოვის სახ. უნივერსიტეტში, ჯ. ბერიძის დისერტაციის დაცვისას თქვა: „ამ ქართველისგან კარგი ფიზიკოსი დადგება“-ო! ახდა მისი წინასწარმეტყველება: ბატონი ჯემალი იმავე უნივერსიტეტში დატოვეს... მან აღმოაჩინა სუპერმოლეკულა და შექმნა „დნმ-ის მეტრის“ კვლევის აპარატი.

1987 წელს ეროვნული აკადემიის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა – ალბერტ თავხელიძემ ბრძანა: „ბედნიერია ერი, რომელსაც ისეთი ფიზიკოსი ჰყავს, როგორიცაა დოქტორი ჯემალ ბერიძე. მისი გონიერება და შესაძლებლობები მსოფლიოს გამოჩენილ ფიზიკოსთა უნარს უტოლდება“. ჯ. ბერიძეს დიდ პატივს სცემდნენ საბჭოთა და ევროპელი ფიზიკოსები.

ჯემალ ბერიძემ 1948 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა ქედაში, ვერცხლის მედალზე; 1948-53 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის ი.სტალინის (დღეს ივ. ჯავახიშვილის) სახ. უნივერსიტეტში, რომელიც წითელ დიპლომზე დაამთავრა; 1954-58 წ.წ. – მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. უნივერსიტეტის ასპირანტურაში სწავლობდა; 1958-68 წ.წ. მუშაობდა იმავე უნივერსიტეტში მეცნიერ მუშაკად, სადაც 1962 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1968 წლიდან მოღვაწეობდა ბათუმის შ. რუსთაველის სახ. ინსტიტუტში (შემდგომში უნივერსიტეტში), იყო ლაბორატორიის ხელმძღვანელი, კათედრის გამგე. 1988 წელს აირჩიეს პროფესორად, ხოლო 1988-დან 2004 წლამდე ეკავა უნივერსიტეტის პრორექტორის თანამდებობა; 1986 წელს კვლავ მ. ლომონოსოვის სახ. უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 10 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონალურ სამსახურს.

1974 და 1983 წლებში ჯემალ ბერიძის თაოსნობით ქ. ბათუმში ჩატარებულ იქნა ფიზიკოსთა საერთაშორისო კონფერენციები, რომლებიც ფრიად აქტუალურ საკითხებს მიეძღვნა.

ჯ. ბერიძემ შექმნა შესანიშნავი ტრადიციული ოჯახი. მის გვარს და ოჯახურ ტრადიციებს აგრძელებს მისი 2 ვაჟი და 5 შვილიშვილი.

85 წლის იუბილეზე ბატონმა ჯემალმა ბრძანა: „თუ შემთხვევით, ვინმეს აჩქარებით გული ვატკინე, ათასგზის ბოდიშს ვუხდი! ყველამ უნდა დავივიწყოთ წყენა და ერთმანეთს უნდა გავუფრთხილდეთ. სოლომონ ბრძენი ხომ ბრძანებდა: წყენის დამავიწყებელი სიყვარულის მძებნელიაო! რას იზამ, ეს ცხოვრება ამქვეყნიური გამოცდაა, მთავარია, ღირსეულად შევდგათ ფეხი მარადისობაში. მარადისობა კი საქართველოს უკვდავებაა!“

ბატონო ჯემალ, თქვენ ერის წინაშე მამულიშვილური ვალი ღირსეულად მოიხადეთ. ამისათვის მადლობა თქვენ! უფალმა ნათელში ამყოფოს თქვენი სული!

***ნოდარ ჭითანავა (თბილისი), ვაჟა ბერიძე (თბილისი), ვანო პაპუნიძე (ბათუმი), აკაკი ბერიძე (ბათუმი), ავთანდილ ბერიძე (ბათუმი), ჯემალ ბერიძე (თბილისი), რეზო ჯაბნიძე (ბათუმი), ოქროპირ ბერიძე (ქედა), ამირან ბერიძე (ბათუმი), დავით დუმბაძე (ქედა), ლევან გორგილაძე (ქედა), ეთერ ბერიძე (ბათუმი), მერაბ ბერიძე (ახალციხე), ლევან ბერიძე (თბილისი), ნოდარ ბერიძე (თბილისი), ვახტანგ ბერიძე (ხულო), გოგი ბერიძე (თბილისი), ზურაბ ბერიძე (მოსკოვი), ალექსანდრე ბერიძე (აშშ), გიორგი ბერიძე (დანია), ნინო ბერიძე (თბილისი), თამაზ გოგიტიძე (ბათუმი), ვახტანგ აბულაძე (ბათუმი), ალექსი ბერიძე (ბორჯომი)***

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ნანა ხურითი: „ფეხით მოსიარულეებზეც დააწესონ ვიდეოჯარიმები“



სოხუმის თეატრის მსახიობი ნანა ხურითი გამოდის ინიციატივით, რომ ფეხით მოსიარულეებზეც დააწესონ ვიდეოჯარიმები და ქუჩებიც დაცარიელდება:

– ქულები, ვიდეოჯარიმებითაც დააკლდებაო. კი ბატონო! მაშინ ბარემ ფეხით მოსიარულეებზეც დააწესონ ვიდეოჯარიმები და ქუჩებიც დაცარიელდება. ქულები შემოიღონ ქვეითებზეც, მაგარი იდეა ჩავაწოდე. ქვეითებისთვისაც მოვიფიქროთ რამე. თავიდან ჩავაბარებინოთ გამოცდები ქუჩაში სიარულზე და ასე ავავსებთ ბიუჯეტს.

აბა, შეპირებულ ქარხნებს და ფაბრიკებს თქვენ არ აშენებთ. ნებას არ გვაძლევენო, ასე ამბობენ. რაც ყველაზე მთავარია! მთავრობის წევრებსა და პარლამენტარებზეც მოვიფიქროთ ქულები და ჯარიმები. ოღონდ ვიდეოკამერების ნაცვლად, ჩვენ ჩამოგაკლებთ ქულებს! ჩვენ ვიქნებით განმსაზღვრელი თქვენი საქმიანობის, საზოგადოება. დარწმუნებული ვარ, ერთ დღეში ამოწურავთ მაგ 100 ქულას.

ღილაკებს და ფერებს რომ ვერ არჩევთ, მაგაზე პირდაპირ 50 ქულა უნდა ჩამოგაკლოთ! ნათქვამია, ,,ოცნებას კაცი არ მოუკლავსო, თუმცა ,,ჩაკალით“, რაც ძალიან მწყინს.

# ბესო ზანგური ტელევიზიებს აკრიტიკებს



რუსთაველის თეატრის მსახიობი ბესო ზანგური ქართულ ტელევიზიებს აკრიტიკებს და მათ ადამიანებისთვის ენთუზიაზმის დაკარგვაში ადანაშაულებს:

– დანელია გარდაიცვალა, არც ერთი გადაცემა, მგალობლიშვილზე არაფერი. რა გჭირთ ეს დედამო..ნული, წკრიალაშვილს რა ფერის ტრუსიკი აცვია, ზეპირად იცის მოსახლეობამ.

რა დავალება გაქვთ, რა ამოცანაა, რა ტვინის რეცხვის პროგრამაა, სირცხვილია რა, ძალიან მრცხვენია. მრცხვენია, რა უნდა გავაკეთო ისეთი, რომ მათ, ან ჩხიკვაძემდე მივიდე? ენთუზიაზმს უკარგავთ ადამიანებს...

გკიდიათ ყველაფერი, გკიდიათ სამშობლო, თქვენი მომავალი გკიდიათ... წარსულს ხომ არ სცნობთ საერთოდ!

# რეალური შოუ „ყველაზე ძლიერი“ იწყება




ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში რეალური შოუ „ყველაზე ძლიერი“ იწყება. მასში 20 სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ცნობილი ადამიანი მონაწილეობს – მსახიობები, სპორტსმენები, მომღერლები, მოდელები, მოცეკვავეები: სალომე ჭაჭუა, შორენა ბეგაშვილი, ლიზა ყენია, ლევან კვარაცხელია, სოფო დონაძე, გიორგი მანჯგალაძე, ოთო ფოლადაშვილი, ლევან ქირია, ნინი ონიანი, ირინა ონაშვილი, ჯანო იზორია, ანატოლი ბოისა, თამარა მაყაშვილი, ნინუცა მაყაშვილი, ნანა ნებიერიძე, გიორგი გილიგაშვილი, გიორგი მეგრელიშვილი, ნინო ოძელაშვილი, დათო კენჭიაშვილი და ლიანა ჯოჯუა. მონაწილეთა შორის ყველაზე პატარა მომღერალი ლიზა ყენიაა, ყველაზე უფროსი კი მსახიობი თამარა მაყაშვილი.

„ყველაზე ძლიერის“ წამყვანები მანიკა ასათიანი და მასტერ-სერჟანტი თორნიკე თვარაძე არიან. მონაწილეები გუნდებად არიან დაყოფილი და მათგან ყველაზე ძლიერის სტატუსს მხოლოდ ერთი მოიპოვებს. გამარჯვებული იქნება ის, ვინც ყველა დავალებას ღირსეულად გაართმევს თავს. რეალური შოუს გადაღებები უკვე დაწყებულია და ის „იმედის“ ეთერში უახლოეს მომავალში გავა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კალეიდოსკოპი

# ლუდის ხანდაზმულმა მოყვარულმა 51 ათასი ბარი შემოიარა



დიდ ბრიტანეთში პენსიონერი 51695 ლუდის ბარს სტუმრობდა და ამით მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

74 წლის ბრიუს მასტერსმა ლუდის სმა 15 წლის ასაკიდან დაიწყო. მას შემდეგ ის აღრიცხავდა ყოველ დალეულ ჭიქას და მათში გადახდილ ფულს, ასევე უბის წიგნაკში აღნიშნავდა ყოველ ბარს, სადაც ის იმყოფებოდა. პენსიონერის დაანგარიშებით, მან 42 ათასი ჭიქა ლუდი დალია და მათში, საერთო ჯამში, 120 ათასი ფუნტი სტერლინგი გადაიხადა.

მას შემდეგ, რაც ის 1996 წელს პენსიაზე გავიდა, ყოველ კვირას დასახლებული პუნქტებში ორ სხვადასხვა ლუდის ბარში მიდიოდა. ხშირად მასტერსი მხოლოდ ნახევარ ჭიქას სვამდა იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტ ბარში მოესწრო შესვლა.

– საშუალოდ წელიწადში ათას ბარში შევდივარ და კვირაში – 20-ში. კვირაში 40 ფუნტი მეხარჯება ლუდზე, – აცხადებს ბრიტანელი.

მასტერსი დარწმუნებულია, რომ ეს ჰობი მას აახალგაზრდავებს. მისი თქმით, გარშემომყოფები ხშირად ეუბნებიან, რომ ის 60 წლის მამაკაცივით გამოიყურება და 100 წლამდე მიღწევაზე ოცნებობს.

აღსანიშნავია, რომ მისი ლუდის ბარებში სტუმრობის ცხრილის დახმარებით მასტერსი მსოფლიო რეკორდსმენი გახდა. მისი მიღწევა გენესის რეკორდების წიგნის ექსპერტებმა აღიარეს.

# ბავშვებმა სათამაშო მოედანზე კოკაინი იპოვეს

ბრიტანეთის კენტის საგრაფოს ქალაქ ჰერნ-ბეიში ბავშვებმა კოკაინი სათამაშო ცენტრში იპოვეს.

26 წლის კეტი ბოუელი ამტკიცებს, რომ პირველი პაკეტი თეთრი ფხვნილის შიგთავსით მისმა ექვსი წლის გოგონამ იპოვა. ქალმა ის სათამაშო ცენტრის მენეჯერს გადასცა, შემდეგ კი პოლიცია გამოიძახა.

ნარკოტიკის შემცველი მეორე პაკეტი მისი ნაცნობის შვილმა იპოვა, რომელიც სათამაშო ბურთულებით სავსე აუზში თამაშობდა.

– მან გვითხრა: „აი ნახეთ, რა ვიპოვე“, – ყვება ბოუელი, – ამის შემდეგ მან პაკეტი ისევ აუზში გადააგდო.

მისი თქმით, მისი ჯერ კიდევ ადგილზე ყოფნის დროს პაკეტი აუზიდან არ ამოუღიათ.

# მანანიკო ცენტერაძე მხატვარი გახდა



მუსიკალური შოუს „ჩვენ ვარსკვლავები ვართ“ გამარჯვებული მანანიკო ცენტერაძე ხატვამ გაიტაცა და პირველი ნამუშევარიც შექმნა. მანანიკომ თავისი ნახატი ინტერნეტში გაავრცელა:

– მთელი ცხოვრებაა გავიძახი, ხატვა არ შემიძლია-თქო, ჩემს ირგვლივ ყველამ იცის ეს, მე დავარწმუნე ამაში. ბევრი რომ არ გავაგრძელო, პირველად ავიღე ფუნჯი ხელში და დავხატე. ასეთ დროს მნიშვნელოვანია, ვინ გიღვივებს ცხოვრებაში პირველად რაღაცის გაკეთების სურვილს. თავიდან არ ვიცოდი, რას ვხატავდი, მაგრამ ვფიქრობ, ადამიანი იმას ხატავს, რაც მის ქვეცნობიერშია, მით უმეტეს, თუ პირველად ხატავს. მადლობა მაისურაძე თამთას, რომ ამ უდიდესი თერაპიის გემო შემაგრძნობინა. წარმოგიდგენთ ჩემ პირველ ნახატს.

# მოძრაობის თეატრი შეგროვილ წიგნებს პატიმრებს გადასცემს




მოძრაობის თეატრმა კამპანია „აჩუქე წიგნი პატიმარს“ დაიწყო. თეატრის ფოიეში განთავსებულ წიგნების სკივრში ნებისმიერ მსურველს შეეძლო წიგნის დატოვება. თეატრში მოსულ მაყურებელსაც შეეძლო თავისი წიგნები გაეზიარებინა პატიმრებისთვის, რომლებსაც მათთვის გაიმეტებდა.

როგორც ცნობილია, სასჯელაღსრულების დაწესებულების ბიბლიოთეკებში არასაკმარისი წიგნების გამო, მსჯავრდებულებს ხელი არ მიუწვდებათ სასურველ ლიტერატურაზე.

23 აპრილს, წიგნის ჩუქების დღეს, შეგროვილი წიგნები, მოძრაობის თეატრის მაყურებლის სახელით, სასჯელაღსრულების ერთ-ერთი დაწესებულების ბიბლიოთეკას გადაეცემა.

# კომიდან გამოსულ ამერიკელს 90 ათასი დოლარის ანგარიში წარუდგინეს



ამერიკელმა ოლივერ ჯორდანმა, კომიდან გამოსვლის შემდეგ, რომელშიც ის თავის მოკვლის მცდელობის შედეგად აღმოჩნდა, სამედიცინო ცენტრში გატარებული რვა დღის ანგარიში 93 ათასი დოლარი მიიღო.

სამკურნალო წამლებში ის იძულებულია 6 ათასი დოლარზე მეტი გადაიხადოს, ხოლო პალატაში მოთავსების საფასურმა 10 ათას დოლარს გადააჭარბა. ჯორდანის თქმით, მის სამედიცინო დაზღვევას ამ ანგარიშის ნაწილის დაფარვა შეუძლია.

– აი ასეთი ძვირი ღირს თავის მოკვლის მცდელობა აშშ-ში, – დაწერა ტვიტერში მამაკაცმა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


23 აპრილისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.6935 |
| ევრო | — 3.0291 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 3.5021 |
| 100 რუსული რუბლი | — 4.2126 |

**ამინდის პროგნოზი 23 აპრილისთვის**





## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

## „მე მიყვარს კითხვა“

**23 აპრილიდან**

კარლო კოლოდი

**პინოკიოს თავგადასავალი**

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი




**16 აპრილიდან**

მარკ ტვენი

**პრინცი და მაწანწალა**

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი




**12 აპრილიდან**




ლევ ტოლსტოი

**ომი და მშვიდობა**

ტომი I

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

**19 აპრილიდან**

ლევ ტოლსტოი

**ომი და მშვიდობა**

ტომი II

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი




**3 მაისიდან**




ლევ ტოლსტოი

**ომი და მშვიდობა**

ტომი III

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

**10 მაისიდან**

ლევ ტოლსტოი

**ომი და მშვიდობა**

ტომი IV

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი





## იუმორი

წარწერა საფლავის ქვაზე:

– ქალო, ნუ მოდიხარ ყოველდღე, აქ მაინც მომასვენე!

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:

– ქალო, როდესაც შემდგომში ვინმეს უპასუხებ, რამდენი წლის ხარ, გახსოვდეს, რომ შენს ასაკსა და ჩვენი შვილის ასაკს შორის სხვაობა ცხრა თვე მაინც უნდა იყოს.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ბანკმა კრედიტი მომცა.

– წადი და ლამაზი ტრუსიკი იყიდე.

– რატომ?

– რატომ და მალე შეიძლება ტრუსიკის ამარა დარჩე...

●●●

ცოლი ქმარს ეჩხუბება:

– როდემდე უნდა იწანწალო ქალებში?! უკვე სამი შვილი გვყავს და შენი არც ერთი არ არის!

●●●

საწარმოს დირექტორი სამუშაოს დაწყების მსურველს ეუბნება:

– დაივიწყე ყველაფერი, რასაც უნივერსიტეტში გასწავლიდნენ.

– კი მაგრამ, უნივერსიტეტში არ მისწავლია.

– მაშინ არ გამოგვადგებით, ჩვენ გვჭირდება თანამშრომლები უმაღლესი განათლებით.

●●●

ბიჭი გოგოს ეკითხება:

– გოგონი, ჩემთან 100 დოლარად არ დაწვები?

– არა!

– გეხვეწები, რა, ფული ძალიან მჭირდება.

●●●

ორი ახლობელი მამაკაცი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– იცი, ქორწილამდე ჩემ ცოლთან არ ვწოლილვარ. და შენ?

– რა კითხვას მისვამ! საიდან უნდა მახსოვდეს? და შენ ცოლს რა ჰქვია?

●●●

ქალს საყვარელი ჰყავს. ლოგინში წვანან. ამ დროს კარზე ზარია.

– ვაიმე, ქმარი დაბრუნდა მივლინებიდან... – ეუბნება ქალი.

– როგორც იქნა, – შუბლზე ოფლი მოიწმინდა საყვარელმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ტერ შტეგენი: „ლივერპულთან კარგი სანახაობა იქნება“



ბარსელონას მეკარემ მარკ ანდრე ტერ შტეგენმა ლივერპულთან მომავალ შეხვედრებზე ისაუბრა და თქვა, რომ ეს მატჩები უნიკალური იქნება და მაყურებელი ნამდვილ სანახაობას იხილავს.

ტერ შტეგენის აზრით, ყველაფერს დეტალები გადაწყვეტს და ყველა შედეგი მოსალოდნელია:

– მოუთმენლად ველი ლივერპულთან მატჩებს, რადგან ჩვენ შეგვიძლია მაყურებელს შესანიშნავი სანახაობა შევთავაზოთ და ამ დაპირისპირებაში ფავორიტი არ არსებობს. მინდა რომ ბარსელონასთან ერთად ჩემპიონთა ლიგა კიდევ ერთხელ მოვიგო.

ლივერპულთან პირველი შეხვედრა 1 მაისს გაიმართება.

## იურგენ კლოპი: „ჩემპიონობისთვის ყველაფერს ვაკეთებთ“



ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა კარდიფთან შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ მისი გუნდი ყველაფერს აკეთებს ჩემპიონობისთვის, მაგრამ ჩემპიონატის ბედი მანჩესტერ სიტის ხელშია.

კლოპის თქმით, ლივერპულმა თავისი შეხვედრები უნდა მოიგოს და სიტის შეცდომას დაელოდოს:

– ჩვენ საკუთარ მატჩებზე უნდა ვიყოთ კონცენტრირებულები, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი ჩვენს ხელში არ არის. იმედი მაქვს, სიტი ქულებს დაკარგავს და ჩვენ მისი შეცდომით ვისარგებლებთ.

## მალკოლმი ბარსელონადან წასვლას არ აპირებს



ბარსელონას ბრაზილიელი ნახევარმცველი მალკოლმი გუნდიდან წასვლას არ აპირებს.

ადრე ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მალკოლმი ბარსელონას დატოვებდა, რადგან მას მცირე სათამაშო დროს აძლევდნენ, მაგრამ თვითონ ფეხბურთელმა განაცხადა, რომ ის ბარსელონაში თავს კარგად გრძნობს და ამ გუნდის დატოვებას არ აპირებს. მალკოლმი ბარსელონაში ბორდოდან 2018 წლის ზაფხულში გადავიდა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ქალიშვილმა დედა ცოფიანი მელიისგან გადაარჩინა



ამერიკის ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ ბლერსთაუნის მცხოვრებლებმა ცოფიანი მელას ლიკვიდაცია შეძლეს.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ დილის საათებში მოხდა. ცხოველთა კონტროლის განყოფილების თანამშრომლის სკოტ ჰენდრიქსის თქმით, ქალი ფერმის ფარდულში შევიდა კატებისთვის საკვების მისაცემად. შიგნით მას ნაცრისფერი მელა დახვდა. იქვე ეგდო მოკლული მისი ერთ-ერთი კატა. მტაცებელი ნელ-ნელა ქალისკენ დაიძრა. მან ცხოველს კატის საკვები ესროლა და გაიქცა. მტაცებელი უკან მიჰყვა.

ქალი სახლისკენ გაიქცა, მელამ კი მისთვის ფეხზე ორჯერ კბენა მოასწრო. ხმაურზე სახლიდან ქალის მოზრდილი ქალიშვილი გამოვარდა და დედაზე გამოკიდებულ ცხოველს, რომელიც თავიდან შინაური კატა ეგონა, ნაჯახი ესროლა, თუმცა ააცილა. ამის შემდეგ გოგონამ ხელი სტაცა ნიჩაბს და მელას თავში ჩასცხო.

ამ დროს სახლთან ახლოს ჩავლილ რამდენიმე მამაკაცს ყვირილის ხმა შემოესმათ. ერთ-ერთი მანქანიდან გადმოხტა, ეზოში შეიჭრა და მელა ნიჩბით მოკლა.

დაშავებული ქალი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას აუცილებელი დახმარება აღმოუჩინეს. ხელისუფლების წარმომადგენლების დასკვნით, მელა ცოფით იყო დაინფიცირებული.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი



**შვეულად:** 1. ძლიერი ფიზიკური დაზიანებით გამოწვეული ფსიქიკური შერყევა, ფუნქციების მძიმე მოშლილობა; 2. ქვის ბოძებზე დადგმული ხის სახლი დასავლეთ საქართველოში; 3. პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში; 4. ცხარე საწებელა; 5. ტრაგედია „ჰამლეტის“ პერსონაჟი; 8. მკბენარა მწერი; 9. სრული ბრუნი ცალი ფეხის თითის წვერებზე ცეკვაში; 10. პროფესიონალი მოცეკვავე ქალი ინდოეთში; 12. სრული მარცხი, კრახი; 13. წონის ერთეული, 15, კუთხე საქართველოში.

**თარაზულად:** 1. ქართული საგმირო-პატრიოტული სიმღერა; 6. სმენის განსავითარებელი ვოკალური სავარჯიშო მუსიკაში; 7. უბანი თბილისში; 10. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 11. ეკლესია-მონასტრისთვის შემოწირული სარეგისტრაციო დავთარი ძველად; 13. ჰოლანდიური ყველი; 14. ალექსანდრე ყაზბეგის რომან „ელგუჯას“ პერსონაჟი; 16. ორნახშირმჟავა ნატრიუმის საყოფაცხოვრებო სახელწოდება; 17. ქართული ძილისპირული; 18. იტალიელი მოდელიერი.

*შეადგინა თ.კოპლეიშვილმა*